# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:**
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი მეტიტი პირველ გვერდზე 15 მ. მე-4 გვერდზე—12 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—400 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:**
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—375 მან. ცალკე №—15 მან.

ფასი 15 მან.

წელიწადი მეექვსე. ხუთშაბათი, ნოემბრისთვის 25, 1920 № 157

## სახელმწიფო ოპერა

25 ნოემბერს, მესამედ ქართულ ენაზე ოპერა

### ,,დალალი''

მუსიკა იპოლიტოვ-ივანოვისა, თარგმანი კ. ფოცხვერაშვილის მიერ. სიუჟეტი აღებულია ცნობილ დრამის ალ. სუმბათაშვილის ,,ღალატიდან''. ახალი დეკორაციები და კოსტიუმები. ბალეტს დასდგამს მიხეილ მორდკინი. ოპერას დასდგამს ა. რ. წუწუნავა. დირიჟორი ს. ა. სტოლერმანი.

მონაწილეობენ:
ზეინაბი—ალეშკო
ფრეკლე—სარაჯიშვილი
რუქაია—კალანდაძე
ოთარბეგ—ინაშვილი
ისახარ—ერმოლინსკაია
სულეიმანი—იხეცკი
კურბატოვი, ორლიუკი, დემიანენკო, გზროვი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

## კონიაკი

გაწმენდილი პურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა
ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.

გაზ. ,,საქართველო''-ს რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დიდი არტისტის, ქართული სცენის სიამაყის

## ვლადიმერ მესხიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში.

მგლოვიარე ქართული დრამის რეჟისორთა კოლეგია აუწყებს საქართველოს მოქალაქეთ თავის უხუცესის მაღალ ნიჭიერის და დამსახურებულის წევრის

## ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის

გარდაცვალებას.

სახელმწიფო თეატრების დირექცია, მსახიობთა კავშირი და სახელმწიფო დრამის მსახიობნი გულმწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ 23 ნოემბერს, ნაშუაღამევს, გარდაიცვალა მაღალნიჭიერი და დამსახურებული მსახიობი

## ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი - მესხიშვილი

ღრმად დამწუხრებულნი: ნინო დიმიტრის ასული, ეკატერინე ალექსანდრეს ასული, შალვა და ვლადიმერ ვლადიმერის ძენი ალექსი-მესხიშვილნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ 23 ნოემბერს, ნაშუაღამევს მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

## ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი

პანაშვიდი ყოველ დღე ქაშვეთის ეკლესიაში.

## სახელმწიფო დრამის თეატრი.

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

ომში დაჭრილთა და დასახიჩრებულთა კავშირის

### ●●● საღამო ●●●

ხუთშაბათს, ნოემბრის 25 ს
1. ... სპანის გასაჭირი
2. ირინეს ბედნიერება
რეჟისორი—აკაკი ფალავა

შაბათს, ნოემბრის 28-ს
პირველად

### ზღვასთან

ენგელისა

შაბათს, დეკემბრის 4-ს
პირველად ორიგინალური ტრაგედია

### ბერდო-ზმანია

ბილეთები კასაში
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

## გაზ. ,,საქართველო''-ს

აგენტების საყურადღებოდ

თელავი, ყვირილა, გორი, ახ. ღსენაკი, ფოთი, ბათომი, სამტრედია.

გაზ. ,,საქართველო''-ს კონტორა კატეგორიულად აცხადებს, რომ ყველა იმ აგენტებმა, რომელთაც არ წარმოუდგენიათ მიღებულ გაზეთების ანგარიში, რომელთაც არ დაუბრუნებიათ დარჩენილი გაზეთები, აცნობონ ამის შესახებ დაწვრილებით კონტორას და გაასწორონ ანგარიშები: წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები აღარ გაეგზავნება.

მინდა

## მასწავლებელი ფრანგულის

გაკვეთილების მიცემა შეიძლება საღამოს 6 საათიდან

მისამართი: სასახლის ქუჩა, № 5,
რაჟდენ გვეტაძე

## საუკეთესო საჩუქარი ბავშვებისათვის!

საქართ. მასწავლებელთა კავშირის გამოცემანი.



გამოვიდა და იყიდება წიგნის ყველა მაღაზიებში

,,ძერწვა''—სურათებიანი სახელმძღვანელო ბავშთა მხატვრული ნიჭის გასავითარებლად. წიგნში ახსნილია, თუ როგორ უნდა მომზადდეს თიხა. ფასი—70 მ. გაგზავნით.

,,სამი კნუტი''—პატარა ზღაპარი პატარა ბავშვებისათვის, დასურათებული—ფ. 40 მ.

მალე გამოვა გასასყიდად: ,,ვინაა ყველაზე ძლიერი?'', ,,კურდღელი და მისი მეგობრები?'', ,,ჩხიკვი და ყვავი'',—ყველა ეს ზღაპრები დასურათებულია. მისამართი: საქ. მასწავლებელთა კავშირის წიგნის მაღაზია, პლეხანოვის პროსპ. № 58, ცენტრალ. ფოსტის პირდაპირ.

## ,,სორაპანის'' გამოცემა

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ 1921 წ.

## ,,კალენდრები''

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

1) კედლის კალენდარი.
2) ჯიბის კალენდარი
3) მოძრავი კალენდარი ქართულ-რუსული
4) თვიური კალენდარი ქართულ-რუსული

უქმები დაბეჭდილია წითელი საღებავით მისამართი თბილისი სტამბა ,,სორაპანი'' მ. გაჩეჩილაძე.

8—1 2295

სახელმწ. თეატრი.

## ოპერა

ხუთშაბათს, ... ნოემბერს ... ქართულ ... ე ოპერა
დალალი
... 26-ს ნოემბერს
პარასკ... გალა საღამო ... ზელი
... 27 ს ნოემბერს
... მუშებისთვის
... ე და ქეთო
... კვირას, 28 ნოემბერს
... სალომე და ეთერი
საღამოს სრულ 8 საათზე.
ოპერის დასა...

— კინო —



არფასტო
ნოემბრის 25, 26, 27

საუცხოვო სანახაობა! იშვიათი თამაში! ტრაგიკ. სიუჟეტი
პირველად თბილისში. საგანგებო სალონური დადგმა

## წინასწარ მეტყველობა

მხატვრული დრამა 5 ნაწილად, (პროლოგით), რომელშიდაც მშვენიერი ვერა ვერგინა მაყურებელთ ჰხიბლავს თავისი თამაშით და ,,პაკენა''-ს კოსტიუმით, და აგრეთვე არა ნაკლებ ნიჭიერი ტრაგიკი სალო, რომელიც შეშლილის როლში დამთავრებულ ფსიქოლოგიურ შთაბეჭდილებას ჰქმნის.

არფასტოში | მხოლოდ ახალი სცენები, ახალი პრემიერები და ერთად-ერთი კინო, რომელიც შეიძინა საქ. საზოგადოებამ ,,სავო-ტიემი''. | არფასტოში

## ბორჩალოს საზღვარზე.

როგორც მოსალოდნელი იყო სომხეთმა მიიღო წინასწარი ზავის პირობები რომელიც მას ოსმალეთის სარდლობამ წარუდგინა. ამ პირობათა შორის იყო ერთი, რომელსაც საქართველოს თავდაცვისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: ეს იყო სომხეთის მიერ ბორჩალოს მაზრის იმ ნაწილის დაცლა, რომელიც სომხების ხელშია და სადაც მათ შეეძლოთ შეიარაღებული ძალების ახალი დაკომპლექტება.

ამ მუხლშივე ჩართული იყო სახელდობრ რკინის გზის გადაცემა ოსმალებზე, ვიდრე სანაინამდე. ჩვენ ვიცოდით რომ დამარცხებული სომხეთი ამაზედ დათანხმდებოდა და რომ ამით საქართველოს სიმტკიცეს ბჭენი აეყრებოდა, რა რომ სომხეთის ნაცვლად ბორჩალოს ყველა სტრატეგიულ ხაზებს ოსმალეთის სარდლობა დაიჭერდა; ასეთს პირობებ-

# დღეს.

გარდაიცვალა დიდი არტისტი ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი.

სომხეთში ს. ვრაციანს მიანდვეს კოალიციური მთავრობის შედგენა.

საფრანგეთი და ინგლისი საბერძნეთის ტახტზე კონსტანტინეს ასვლის წინააღმდეგნი არიან.

სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრი მთავრობიდან გავიდა.

ბათომის ოლქში ქიამალისტების პროვაკატორული მუშაობა საშიშ ხასიათს ღებულობს.

## წერილები.

მეთაური: ბორჩალოს საზღვარზე.

ლ—ი. გარდაიცვალა დიდი არტისტი.

ვ. წერეთელი: ეკონომია წარმოებაში.

ჩვენი კორესპოდენტები: ფშავეთი.


გამოცდილი რეპეტიტორი სტუდენტი

ИДЕБС ГАКВЕТИЛЕБС

საჭიროა დილის საათები

მისამართი ეროვნ. დემოკრ. ბიურო (სასახლ. ქ. № 5)

ტელეფ. № 3-02 გამოელაპარაკეთ 10-2 საათამდე.

1920 წ. ნოემბრის 28-ს

დანიშნულია

არაჩვეულებრივი საზოგადო

კრება

ცენტრალურ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციონერებისა (ცენტრობანკის).

კრება შესდგება დღის 12 საათზე ცენტრობანკის შენობაში (პუშკინის ქუჩა №

ცენტრობანკის გამგეობა.

ქალაქ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 6,

გაიხსნა ევროპიული—ქართული ტეხნიკური სავაჭრო და სამრეწველო კონტორა

„ევრ-ივერია".

კონტორის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს აღმშენებლობის და მრეწველობის განვითარებას საქართველოში

კონტორას დამოკიდებულობა აქვს გერმანიასთან და მოკლე ხანში შეუძლია მოაწყოს წ[illegible] ბი, სადგურები, ქარხნები და ყოველივე სამრეწველო წარმოება. კონტორამ უკვე მიიღო გერმანიიდან. 3286. 3—1

სამეურნეო და სხვა იარაღები


…ში თბილისის მკერდი სრულიად გაშიშვლებული დარჩებოდა ოსმალოს ზარბაზნის ყუმბარებისათვის.

დამარცხებული სომხეთის კვლავ აღსადგენად მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს რომ საქართველო თვის ფეხზე იდგეს და მისი დამოუკიდებლობაც მტკიცე და შეურყეველი დარჩეს. თუ წაქცეულ აზერბაიჯანს და წაქცეულ სომხეთს კიდევ საქართველოც მიემატა, მაშინ უკვე დაკარგული იქნება როგორც საშინაო, ამიერ კავკასიურ სტიმული ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე საერთაშორისო სტიმულიც. მომხდარი ფაქტის წინაშე ყველა ბაგეს დაიდუმებს და ხელს არავინ გაანძრევს; და ეს სამი ერი, დიდის იმედებით ამოქმედებული, სხეული, შესაძლებელია, ერთა გამორკვევის პრინციპის ალმსარეპელმა სახელმწიფოებმა ერთს კუბოშიც ჩაასვენონ და ერთ საფლავში ჩ ფლან!

სირცხვილით არც ერთი არ დაიწვება!

ამიერ კავკასიის რთული სახელმწიფოს სიმტკიცე და დღეგრძელობა დამოკიდებულია მისი მეზობლის სიმტკიცესა და დღეგრძელობაზედ. ერთი უმეოროთ ორკეც განსაცდელშია. ეს სწორი მოსაზრება, რომელსაც ცალცალკე ყოველი ამ სახელმწიფოთაგანი იზიარებდა, არც ერთის პრაქტიკული ღონისძიების მიზნად არ გადაიქცა; ამ მოსაზრებას მოქმედება არ მიჰყოლია; ამის გამო ჯერ აზერბაიჯანმა წააგო თვისი თავი და მერე სომხეთმა. მართალია, ამ მოვლენაში ყველას ერთნაირი წილი…

ერთი სიტყვით, სანამ საქართველოს პირში სული უდგას და იგი არსებობს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო აზერბაიჯანსაც და სომხეთსაც აღდგომის სხივი კიდევ გულს უნდა უიმედებდეს და თითოეული ამ წაქცეულის ცდაც ის უნდა იყოს, რომ საქართველოს სიმტკიცეს რაიმე შემატოს. ამას მოითხოვს მის საკუთარი რეალური ინტერესიც და თანაც ეს არის ერთად ერთი სწორი მოქმედება, რომელსაც მოითხოვს პოლიტიკური შორს მჭვრეტელობა და პოლიტიკური დიდსულოვნება. ჩვენ გვეგონა, რომ სომხეთიც ასე შეხედავდა საქმეს და იმ დროს, როდესაც იგი იძულებაში იყო ჩაგდებული, ბორჩალოდან გასულიყო და მით საქართველოს გული გაეშიშვლებია იმავე ზარბაზნებისთვის, რომელთაც ყარსი და გიუმრი დაანგრიეს, ჩვენ გვეგონა, რომ სომხეთი ამ დროს, საქართველოს დააცლიდა ბორჩალოს სამხრეთი საზღვრების დაჭერას. ახე გვეგონა, რადგან, მხოლოდ ასეთი მოქმედება იქნებოდა სწორი და პოლიტიკურად გამართლებული, მაგრამ ისიც ვიცოდით, და ეს წარსული ურთიერთობის მიხედვით—რომ სომხეთის მთავრობა ამ სიმაღლეზედ ვერ ავიდოდა და რომ მისთვის უფრო ბუნებრივი იქნებოდა: „მეც წავხდი, შენც წაგახდენ"-ს პრინციპი. ამის გამო ჩვენ გავაფრთხილეთ ჩვენი მთავრობა, დრო არ დაეკარგა და ბორჩალოს სამხრეთი საზღვარი თავის განკარგულებაში დაეჭირა, თუ სომხეთის მთავრობა მას ამის თანხმობას არ შეაძლებდა. საქართველოს თავისი სახელმწიფოებრივი უფლება არ მოეხსნია ბორჩალოს სამხრეთის ნაწილზე…

…უზრუნველყოფის მოსაპოებლად, იგი აუცილებლივ ასე უნდა მოქცეულიყო. საქართველოს თავი უნდა დაეზღვევა სტრატეგიულად და მილიტარულად იმ სამხედრო ძალისგან, რომელიც სამხრეთიდან მოიწევდა და რომელსაც თვისი პრეტენზიები აქვს საქართველოს განსაზღვრულ ნაწილებზე. რევერანსების დრო არ არის ისეთ მომენტებში, როდესაც ქვეყნის არსებობა ბეწვზე ჰკიდია და როდესაც შეიძლება, ერთის დაკვრით განადგურდეს მთელი ერის სასოება და სიცოცხლის მიზანი! ჩვენს მთავრობას უნდა მიეღო ზომები ბორჩალოს მხრივ დაეჭირა საქართველოს ბუმბერაზული ბუნებრივი ზღუდეები, თბილისისა და მთელი საქართველოს ეს ერთგული დარაჯი მთელი საუკუნეების წყებათა სიგრძეზედ. ჩვენი მოსაზრება და მოთხოვნა გარემოებამ გაამართლა. სომხეთი, დროებით ზავის წინასწარი პირობის ძალით, გავიდა ბორჩალოდან და ოსმალეთის სარდლობას ამით საშვალება მიეცემოდა დამდგარიყო იმ სტრატეგიულ ხაზებზე, რომელიც ბატონობს თბილისზე და მაშასადამე მთელ საქართველოზედაც. მოწინააღმდეგე ბრძოლის გუნებაზე მით უფრო ადვილად მოდის, რაც უფრო საუპირატესო სტრატეგიული ხაზი უჭირავს და რაც უფრო უადვილდება შეტევაზედ გადასვლა.

წინ და წინ მოპირდაპირის ჩაყენება ასეთ სამხედრო უპირატესობაში, ამცირებს აგრეთვე თვით ომის აცდენის შანსებსაც. ასეთი შეიქმნებოდა მდგომარეობა და მომავალშიც შეიქმნება, თუ ჩვენმა მთავრობამ ენერგიული ზომები არ მიიღო.

ჩვენ მოვითხოვთ რომ ბორჩალოში ბოლომდის ამოიწუროს საქართველოსთვის მილიტარული და სტრატეგიული უპირატესობის შექმნა—ამ მხარის ბუნებრივი საზღვრის სრული დაჭერით. ეს გაცილებით უფრო დიდი ფაქტორი იქნება ანგორასთან კეთილმეზობლობის დასამყარებლად და საქართველოს იმ ნაწილების ინტეგრალურ დასაცავად, რომელზედაც რამოდენიმეთ გული უთქვამს ანგორის მთავრობას. ჩვენ თავდაცვის ფარგლებში ვრჩებით, მაგრამ ამ ფარგლებში მაქსიმუმი სამხედრო ძლიერება უნდა ვიყოლიოთ. ეს არ არის არც სომხეთის გაჭირვებული მდგომარეობით სარგებლობა. ბორჩალოს საკითხში სომხეთის სადაო უფლება და პრეტენზია ნორმალურ დროის პირობებში გაირჩევა.

## ეკონომია წარმოებაში

მთავრობის თავმჯდომარე თითქმის ყოველს თავის დეკლარაციაში აცხადებს: საქართველოში ისეთი წესწყობილებაა, როგორიც მსოფლიოში არსად არ არის, არც ევროპაში და არც აღმოსავლეთში, არც ჩრდილოეთის ქვეყნებში და არც სამხრეთშიო.

და მენშევიკები არც ბოლშევიკურ კომმუნიზმსა ვქმნით, არც ბურჟუაზიულს, კაპიტალისტურ წესწყობილებას, მაშასადამე, არც აქეთა ვართ, არც იქეთ, არც მარცხნით ვიხრებით, არ მარჯვნით და სხ.

მაგრამ უბედურობაც ის არის, რომ მსოფლიოს გამოვეთიშეთ, მოვწყდით, და არც აღმოსავლეთის ერთა კავშირში ვართ და არც დასავლეთისაში.

გავმარტოხელდით, მეგობარი არა გვყავს, მტერი კი—ბევრი.

სავაჭრო, ეკონომიური ურთიერთობა ვერც აღმოსავლეთთან დავამყარეთ, ვერც დასავლეთთან.

და, ვინაიდან, არც ერთს ერს არ შეუძლია დაიკმაყოფილოს ყველა თავისი საარსებო მოთხოვნილება მხოლოდ საკუთარი ძალით, მთელი ჩვენი კინეტიური ეროვნული ენერგია დაიშრიტა, დაილია, და კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩავვარდით.

იმავე დროს დიდი პოტენციური, სიმდიდრე მოგვეპოება: შავი ქვა, საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი (ტყვარჩელის), სპილენძი, რკინა, გოგირდი, ტყე, თეთრი ნახშირი და სხ.

საქართველო მდიდარია აგრეთვე ვაკეებით, რომელთა მორწყვაც ადვილია მთებიდან დაქანებული წყლებით.

მდინარეების ნაპირების გამაგრებითა და ჭაობების ამოშრობით შეგვიძლია შევიძინოთ უთვალავი ნაყოფიერი სახნავი მიწა.

მაშასადამე, შეგვიძლია ისე განვავითაროთ სახორბლეული წარმოება—და მასთან დაკავშირებული სარძეო, საფრინველო და სახვადასხვო მეურნეობა, რომ საქართველო ერთერთს უმდიდრეს ქვეყნად გადავაქციოთ.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს პოტენციური ენერგია კინეტიურ ენერგიად ვერ გარდავქმენით, ე. ი. კეთილად ვერ მოვიხმარეთ.

რა არის ამის უმთავრესი მიზეზი?!

ის, რომ მსოფლიო—ერთს მთლიან ეკონომიურ ერთეულს წარმოადგენს და, მაშასადამე, სასტიკად დავისაჯეთ, ვინაიდან მსოფლიოში გამეფებული წარმოების კანონებს არ დავემორჩილეთ.

უკვე მაგელლანმა გააერთიანა გეოგრაფიულად მსოფლიო. მაგელლანი აღმოჩენას კი თანდათანობითი ეკონომიური გაერთიანება მოჰყვა.

და, თუ კი გერმანიამ, ამ უძლიერესმა სახელმწიფომ და მასთან შეერთებულმა ცენტრალურმა სახელმწიფოებმა…

…დროს, მით უფრო პაწაწა, ახლად ფეხადგმულის, ნორჩი სახელმწიფოსთვის არის საშიშარი მსოფლიოსთან ბრძოლა—პოლიტიკური თუ ეკონომიური.

მაშ აქამდის წარმოებული ეკონომიური პოლიტიკა უნდა შეიცვალოს, თუ გვინდა, კატასტროფას თავი დავაღწიოთ.

მაშ გაუვალ ჩიხში დგომა არ გვარგებს: ბოლოს მოგვიღებს.

და ბევრი ფიქრი და ყოყმანი საჭირო არ არის: მსოფლიოს ეკონომიური პოლიტიკის მიმდინარეობას უნდა მივყვეთ და დავემორჩილოთ.

სხვა გზა და გამოსავალი არ არის.

და, ცხადია, როგორც მარტოხელობა, აგრეთვე ბოლშევიკურ-კომუნისტურ კავშირში შესვლაც დამღუპველია, ვინაიდან რუსეთის საშინელებაც ხომ უმთავრესად იმის შედეგია, რომ მისი ეკონომიური პოლიტიკა მსოფლიოს საერთო ეკონომიური პოლიტიკის გარეშე დგას.

მაგრამ რა უძევს საფუძვლად მსოფლიოს ეკონომიური პოლიტიკას, რომლის მთავარი ღერძიც დასავლეთ ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში ტრიალობს?

ანგარიშიანი, ეკონომიური წარმოება.

ორ მოცილე საწარმოო სახლს შორის ის იმარჯვებს, რომელშიაც მეტია ეკონომია, ე. ი. ნაკლები ენერგია იფლანგება უსარგებლოდ.

ვთქვათ ერთმა მწარმოებელმა წმინდა მოგების უდიდესი ნაწილი წარმოების გადიდებას კი არ მოახმარა, არამედ წარმოების გარეთ დახარჯა, მეორემ კი, პირიქით, თავისი წმინდა მოგების უმეტესი ნაწილი კაპიტალად გადააქცია, წარმოებას შეჰმატა. სიკვდილ-სიცოცხლისათვის ბრძოლაში, უეჭველია, მეორე გაიმარჯვებს.

თუ ერთს ქარხანაში მუშის შრომა ორჯერ უფრო ნაყოფიერია, ვიდრე მეორეში. უკანასკნელის დამარცხება—აუცილებელია.

წარმოვიდგინოთ ამ გვარი შემთხვევა. ერთს ქარხანაში მუშაობს 100 მუშა, მეორე ამგვარივე ქარხანაში კი—200. იმავე დროს არც ერთს ქარხანას 100-ზე მეტი მუშა არა სჭირდება. ცხადია ქარხანა, სადაც მუშათა ნამეტნაობაა, დამარცხდება.

ამიტომ, როდესაც მუშათა ნამეტნაობის დათხოვნა თვით მუშებზეა დამოკიდებული და არა ქარხნის პატრონზე, საქმე საშიშარ მდგომარეობაშია.

მაშასადამე, ქარხნის პატრონს ნება უნდა ჰქონდეს დაითხოვოს მუშათა ნამეტნაობა, რომელიც ჩვეულებრივ პი… წარმოებას.

აი აქ თავდება მუშათა კავშირის უფლება და იწყება ქარხნის პატრონის უფლება.

თუ ქარხნის პატრონმა დათხოვნილ მუშებს „სალიკვიდაციო" უნდა აძლიოს, უეჭველია, ორ მოცილე მექარხნეს შორის ის დამარცხდება, რომელიც მეტ „სალიკვიდაციოს" იხდის.

ტეხნიკურად უკეთ მოწყობილი წარმოება ამარცხებს ტეხნიკურად ნაკლებად მოწყობილს.

ის ქვეყანა, რომელსაც უკეთესი და უფრო იაფი გადასაზიდავი საშუალება ნა (რკინის გზები, გზატკეცილები, ფლოტი) აქვს, ამარცხებს იმ ქვეყანას, რომელიც ამ მხრით ნაკლებად მოწყობილია.

ერთი სიტყვით, ის ქვეყანა, რომელშიაც კაპიტალს პროცენტული მოგება მეტი აქვს, ამარცხებს იმ ქვეყანას, რომელშიაც ნაკლები პროცენტული მოგება აქვს.

აქედან უნდა გამომდინარეობდეს ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა.

წარმოებაში თუ საჭირო ეკონომიას არ დავიცავთ, კატასტროფას თავს ვერ დავაღწევთ.

იმ ანგარიშით უნდა ვაწარმოოთ, რომ კაპიტალმა ჩვენშიაც იმდენი პროცენტული მოგება ნახოს—ცოტათიც კი—რაც ევროპაში აქვს.

თვინიერ ამ პირობისა ევროპის კაპიტალს, ე. ი. ევროპის ცოდნასა და ტეხნიკას, ვერ მოვიზიდავთ და ჩამორჩენილ საწარმოო საშუალებით სახელმწიფოს ვერ შევინახავთ.

სოციალისტები დიდს იმედს ამყარებენ საწარმოო კოოპერატივებზე, მაგრამ უკვე კარლ მარქსმა აღნიშნა მათი შეუძლებლობა და სინამდვილემ კიდევაც გაამართლა მისი წინასწარმეტყველება.

მწარმოებელი კოოპერატივი თავისი წევრების ნამეტნაობას ადვილად ვერ დაითხოვს და თავისი წმინდა მოგების ერთს ნაწილს კაპიტალის გადიდებისათვის ადვილად ვერ გაიმეტებს.

სწორეთ ამას მიეწერება, რომ მწარმოებელმა კოოპერატივებმა, რომლებშიაც მუშებივე არიან წარმოების პატრონები, ვერ გაუძლეს სააქციო ან კერძო კაპიტალისტურ სასაქმოთა კონკურენციას.

იმავე დროს ისიც მართალია, რომ, ერთი სამადაც რომ გაუმჯობესდეს მუშების მდგომარეობა, თუ კი ეს გაუმჯობესება ერთსა და იმავე დროსა და თანაბრად მოხდება ყველა სამრეწველო ქვეყანაში, არცერთს ქვეყანას ამით არა დაუშავდება რა. პირიქით, ყველა მოიგებს, ვინაიდან მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება—კაცობრიობის ყოველმხრივი წარმატების ერთერთი აუცილე-…

მაშასადამე, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება საერთაშორისო ნორმას უნდა ემორჩილებოდეს და ეს ნორმა ერთა კავშირის დელეგატების კონფერენციების მიერ უნდა იყოს დაწესებული.

ამისთვის კი საქართველომ, ერთის მხრით, მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთაშორისო შრომის კანონმდებლობის შემუშავებაში და, მეორე მხრით, თავისი კანონმდებლობა ევროპის კანონმდებლობას და თავისი წარმოების შედარებითს სიმაღლეს უნდა შეუფარდოს.

უეჭველია: მიზან შესაბამი ეკონომიური პოლიტიკა რომ გვეწარმოებია, ეროვნული წარმოება არ განადგურდებოდა.

ჩვენმა ჩამორჩენილმა წარმოებამ ვერ აიტანა ჩვენი მმართველი პარტიის მიერ დაწესებული შრომის კანონმდებლობის დავალებანი.

მაშასადამე, შედარებითი ნორმის და მიხედვით მუშათა კავშირების უფლება ნორმაზე გადამეტებულად უნდა ჩაითვალოს. აგრეთვე დაკანონებული „სალიკვიდაციოს" ნორმა.

მიზან შეუსაბამოა აგრეთვე ნარდად მუშაობის აღკრძალვა, რვა საათის სამუშაო დღე—გარდა შავიქვისა და ქვანახშირის მაღაროებისა და სხ.

ამ კანონმდებლობის ნაყოფს უკვე ვხედავთ: შეწყვეტილია მუშაობა ყველა სამრეწველო დარგში.

გაჩერებული არიან ქარხნები. შეჩერებულია შავიქვის წარმოება.

ხელოსნებს, შეგირდები ვეღარ აუყვანიათ და შემდეგ თაობაში ხელოსნობა აღარ იქნება.

ახალი წარმოების შექმნაზე ხომ ფიქრიც არ შეიძლება.

მხოლოდ სოფლის მუშა მუშაობს და ასაზრდოებს ქვეყანას, ვინაიდან ზევიდან გამოცემულ კანონებს ნაკლებად ემორჩილება.

მაშ დროა შევიგნოთ და გავასწოროთ დამღუპველი შეცთომა!

დროა თავი დავანებოთ უტოპიების ბურუსით მოცულ უგზოუკვლო უდაბურში ხეტიალსა და გამოვიდეთ მეცნიერების სხივებით განათებულ სწორ გზაზე.

ხსნა—ეკონომიურ წარმოებაშია.

**ვასილ წერეთელი.**



## ✝ ვლადიმერ ხარდიონის ძე ალექსი მესხიშვილი.

### უკანასკნელი წამები.

23 გიორგობისთვეს ნაშუაღამევის 3 ნახ. საათზე გულის სიდამბლით გარდაიცვალა ჩვენი სცენის სიამაყე მხცოვანი მსახიობი ვლადიმერ ხარდიონის ძე ალექსი მესხიშვილი. განსვენებული უკანასკნელ დროს კუჭით ავადმყოფობდა, მიზეზად ძეხვის ბუტერ-ბროტს ასახელებდა, რომელიც სადღაც შეეჭამა. ამის გამო ამ უკანასკნელ წუთამდე 3—4 დღის განმავლობაში დიეტაზე იჯდა. ტრაგიკულ დღეს მსახიობი ინახულა მსახიობ ქალმა ნ. დავითაშვილმა და კარგა ხანს დაჰყო ვინაიდან მეუღლე მისი ანნა ვასილის ასული შინ არ იყო—რეპეტიციაზე იყო წასული. სულმნათ მსახიობს არავითარი საფთხის ნიშნები არ ეტყობოდა. პირიქით მსახიობი დავითაშვილისა რომ წავიდა განსვენებული მეზობელთან, დიდი ხნის ნაცნობ მასწავლებელთან შევიდა და მთელი [illegible] მასთან დაჰყო თავისი [illegible] ვაჟიშვილით და მეუღლით [illegible] უკვე დაბრუნდა რეპეტი[illegible]. ღამის 12 ნახ. საათი იქ[illegible] რომ განსვენებული ოჯახით [illegible]ის გაციებულ ჯურღმულში [illegible] ოთახში ორად გაყოფილში [illegible] უნდა. შუაღამის 2 ნახ. ს[illegible] იყო როცა განსვენებულმა [illegible] ასტეხა ძახილი „ანნა ს[illegible] მირაიუო". გაღვიძებული ძილ[illegible] ბურუსში მეუღლე ფიცხლ წამ[illegible] და ეცა მომაკვდავს. აფრი[illegible] ზობლები აქიმ წამალზე. მაგ[illegible] უილოდ. კომფორის წვენმა [illegible] ოარდაცვლილს მოუსწრო…

განსვენებულს [illegible] ეს რძის ფულიც კი არ ჰქონ[illegible] რო დეე[illegible] ლია…

### ცხედრის გადმოს[illegible].

გუშინ 24 გიორგობ[illegible] განსვენებულის ცხედარი [illegible] დან გადმოასვენეს ქვაშვეთის [illegible] რგის ეკლესიაში. პანა[illegible]

საათზე; სადგურ [illegible] ლიც დაკრძალვის დღეს ცალკე გამოაცხადებს.

## ✝ ლადო მესხიშვილი

1857—1920 წ.

გუშინ, ნაშუალამევს 3 ნახ. საათზე, თბილისში გარდაიცვალა ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი მესხიშვილი.

დიდი არტისტის ასეთი უეცარი გარდაცვალება სრულებით მოულოდნელი იყო ყველასათვის, რადგან განსვენებული ისე მძიმე ავად არ ყოფილა, რომ ასეთი შედეგი მოჰყოლოდა.

მსახიობი ჯერ კიდევ ამ თვის 18-ს, სახელმწიფო დრამაში იყო, თავს კარგად გრძნობდა, ჩვეულებრივად ურადღებით იმზირდა ქართული თეატრის პრემიერას.

მეორე დღეს დილით, თავი ცუდათ იგრძნო და როდესაც მასთან მსახიობი იუზა ზარდალიშვილი მივიდა, მას კუჭის ტკივილზედ შესჩივლა:

„თეატრში ხინკალი ვჭამე და ალბათ მაწყინაო".

დაუყონებლივ გამოწვეული იქნა ექიმი ი. აბაკელია, რომელმაც სათანადო ზომები მიიღო და მისი სიტყვით, ავადმყოფს შიში არავითარი უნდა ჰქონოდა; ასეთივე აზრის იყო ექიმი ივანე გომართელიც და მართლაც, ნოემბრის 23-ს დილით ავადმყოფი თავს უკეთ გრძნობდა;

საღამოსაც, განსვენებული, კარგ სულიერ განწყობილებაში იყო და ღამის 12 საათზედ დაიძინა; ღამის 2 საათზედ, ვლად. მესხიშვილს უეცრად გამოეღვიძა და სთქვა, რომ „თავს ცუდად ვგრძნობო"—დაუყონებლივ გამოიწვიეს მისი შვილი შალვა და ექიმები.

ავადმყოფს კვლავ დაეძინა, მაგრამ მას შემდეგ სრულებით აღარ გამოღვიძებია—იგი მიიცვალა ღამის 3 ნახ. საათზედ.

ექიმების სიტყვით, ლადო მესხიშვილი გულის სიდამბლით გარდაიცვალა.

## დიდი არტისტი გარდაიცვალა.

ქართული ხელოვნება დიდს მწუხარებას ეზიარება: ქართულ თეატრს მოსცილდა ის, ვინც ამართლებდა ქართულ დრამას, ვინც საამაყო დროშათ იყო აფრიალებული ჩვენი მელპომენის ტაძარზედ.

გარდაიცვალა ლადო მესხიშვილი!

როდესაც ქართულ თეატრზედ ვლაპარაკობდით, როდესაც ვსწუხდით თანამედროვე არტისტის საშუალობაზედ, ჩვენ მაინც ამაყი ვიყავით, რადგან ცოცხალი იყო

ლადო მესხიშვილი!

როდესაც უცხოელები ესტუმრებოდენ ქართული დრამის ტაძარს, ეცნობოდენ მის არსებობას, ყველაზედ უწინ მათ მოუთხრობდენ

—ლადო მესხიშვილზედ!

როდესაც ჩვენ ვწუხდით, რომ ქართული თეატრი ჩვენი ცხოვრების ბნელ კუთხეებში თუ მოითხობდა თავის გაცრეცილ კუთხეებს, ჩვენ ვიბრძოდით მისი ამაღლებისათვის, რადგან

გვინდოდა გვენახა მისი ქურუმები და მათ შორის, უპირველესად:

ლადო მესხიშვილი!

და დღეს, როდესაც ქართული თეატრი, საქართველო სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ მოიქცა, როდესაც იწყება მისი ბრწყინვალე, მას სცილდება მისი უდიდესი ქურუმი, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე ამართლებდა ქართულ თეატრს.

ადიდებდა ქართულ ხელოვნებას.

ამიერიდან ჩვენ ვეღარ ვნახავთ ამ ლამაზ მოხუცს ვერცხლის თავით, საიდაც, როგორც ფოკუსში, გროვდებოდენ ყველა სხივები ქართული თეატრისა მისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით.

ქართველი საზოგადოება სამუდამოდ ეთხოვება ამ ესტეტიურ სილამაზეს, რო…

...ი, თითქოს, ანტიურ სკულპტონის ...ა გააცოცხლა ჩვენს შორის!

...რთული თეატრი დიდი ხნით აძ-... დავიწყებს ...ანც მოორს, ...მლეტს, ...მონდ კინს, ...იულ აკოსტას, ... თითქმის, მთელს კლასიკური ლი-...ტურას.

...დო მესხიშვილმა, ამ მხრივ შემკვი-...არ დასტოვა დაუშვილოდ განისვენა! ...ნა შეიძლება დღეს წერა ლადო ...შვილზედ? განა შეიძლება ამ მწუ-... შენიშვნაში დაფასება ასეთი არ-...ტისა?

...ახლაც თვალწინ მიდგას მისი ფრანც ...რი, რომლის მზგავსი ჯერ არც ერთ ...ზედ არ მინახავს—და ეს სახე რა-...ენიმე წლების წინეთ არის ჩარჩე-... თვალში, ხოლო, თითქოს გუშინ ...ხოს, ისე ცოცხალია და სრული თე-...ქნილებებში.

...აგერ, რასპლუევი სდგება თავისი ...გრეული ცილინდრით და ლადოს ...წიანი ხმით!

..., ეს ხმა? განა იგი უფრო საამო ...ყო, ვიდრე ანკარა ხმა ბევრ სხვა-...

... მახსოვს რასპლუევი „ალექსანდრი-... სცენაზედ, სადაც ვარლამოვის ...ალური კომიზმიც კი, ვერ სჯობ-... ამ როლში ლადო მესხიშვილის ...მატიულ ნიჭს!

...ენ ველარ ვნახავთ მას! ... დიდი არტისტი გარდაიცვალა!

ლ—ი.

# პრესა.

## „აშხატავორი“

„აშხატავორი“ (№ 257) ეხება სომ-...რ ენის საკითხს დამფუძნებელ კრე-...ბაში, და თავის მოწინავე წერილში, ...თა შორის, სწერს შემდეგს:

„უნდა გავიგოთ, რომ სომხის მშრო-... ხალხის წარმომადგენელნი საქარ-...ლოს დამფუძნებელ კრებაში ვერ შეს-... დარჩნენ მუნჯ მაყურებელთა ...ლში. მეტიცა: აქამდე არ უნდა და-...ჯერებულიყვნენ. მაგრამ წარმომა-...ენლობა ფაქტიურად თითქმის ყო-...თვის მუნჯობდა და უკმაყოფილო ...მენტებმა მას დაარქვეს მუნჯი ...ქცია. საქართველოს სომ. რევ. ...რტიის დაშნაკცუთიუნის ცენტრა-...ურმა კომიტეტმა მიმართა დამფუძ-...ბელ კრების თავმჯდომარის გან-...ადებით, რომელიც ჰხსნის საკმა-...დ ხანგრძლივი სიჩუმის მიზეზებს. ...რთველი მენშევიკები, რომელნიც ...ევამ თავიანთ თავს სოციალიზმის ... ერების თანასწორობის მოციქულ-...დ აცხადებდნენ, ართმევენ ეროვ-...ლ უმცირესობათა წარმომადგენლებს ...დებელი ლაპარაკის უფლებას რეს-...ბლიკის უმაღლეს დაწესებულებაში. ...ვალი სიტყვიერი და წერილობი-... მიმართვა რჩება უშედეგოდ. ამი-...ნა პირობებში ძალიან სამართლი-... საკითხი იბადება თუ რა ფასი ...ქს სომეხ დეპუტატთა ყოფნას დამ-...ნებელ კრებაში, როცა ისინი მო-...ებულნი არიან თავის აზრის გა-...თქმის საშუალებას და იძულებულნი ...რიან მუნჯი მოწმენი იყვნენ მენშე-...კების მოქმედებისა.

# ...ევროპელ(?)დე საქართვე-ლოს შესახებ.

...მუნის გაზეთ „ლე პეუპლ“ ოქ-...ბრის 21-ს № ში მოთავსებულია ემ. ...ვანდერველდეს წერილი სახელად „პირ-...ელი სოციალისტური მთავრობა“. მთე-...ლი წერილი საქართველოსადმი მხურვა-...ლე თანაგრძნობით არის გამსჭვალული. ...ტორი დაწვრილებით ახასიათებს ქარ-...თულ დემოკრატიის მიერ განვლილ გზას ...და მთავრობის მიერ შექმნილ პოლიტი-... საქართველოს მთავრობას ავტორი ...პირველ სოციალისტურ მთავ-...ბას ... ქვეყანაზე. წერილი ამ სიტყვებით ...თავდება: „რათა საქართველოს მიერ ...წყებული საქმე და ცდა, რომლისდი-...დი მნიშვნელობა ყველასათვის თვალსა-...ჩინო უნდა იყოს, კეთილად განვითარ-...დეს და დვირგვინდეს, საჭიროა გარ-...კვეული საერთაშორისო მდგომარეობა ...ნდეს მას საქართველოს მთავრობა, ...რომელიც ფაქტო ცნობილია კიდეც, ...ხლო მომავალში უნდა ცნობილ იქმნას ...დე იურე. ჩვენებსა სადმე არსებობს ...სეთი მხარეები თავისუფლებ-...სათვის გმირულ ბრძოლით და ერთსუ-...ლოვნების სრული შეგნებით დაუმსახურ-...ებია ცნობა(?) ... მხარე უფრო ... უფლისა საქართველოს რესპუბლიკა.

„ჩვენ ვეცდით გიგპარებთ(?), რომ ახ-...ლო მომავალში საქართველოს უფლება(?) ... ცნობილ იქნას“.

# სტამბოლის ცნობები.

— ანგორის მთავრობაში დიდი მით-...ქმა მოთქმაა ბოლშევიკებით აგენ გან-...ცალკევებების და ანტანტის ახალ წინა-...დადებათა შესახებ.

— სტამბოლის მთავრობაში თვლიან ...ფაშა მოხსენებით ... და განაცხა-...და, რომ თუმცა ... პასუხის ... დაგვიანდა, მაგრამ დარწმუნებული უნ-...და ვიყოთ, რომ ... შეთანხმებას მი-...ვაღწევთ. სტამბოლის მთავრობა მო-...

...უწყებას საჩქაროდ დაადგინოს ფოსტა ტელეგრაფის მავთული ანგორასა და კონსტანტინეპოლს შუა.

— ქემალ ფაშას აზრად აქვს იერი-ში მიიტანოს საბერძნეთის ჯარების წინააღმდეგ.

— სტამბოლიდან გვატყობინებენ, რომ ბევრი კომერციული ფირმები რომ-ლებიც ბრიტანიის ჯარის წასვლის ... ბათომიდან წავიდნენ ამ მოკლე ხანში უკანვე ბრუნდებიან.

— სტამბოლში ხმაა გავრცელებული რომ საქართველოს სესხის საქმე ევრო-პაში გამარჯვებით ჩატარდა.

— ჟენევაში იმდენი დელეგატები ჩასულან რომ ბინების საშინელი სიმ-ცირე შექმნილა.

— ჟენევის ხალხთა ლიგის კონგ-რესზე არიან ბ. ბ. ზურაბ ავალიშვილი-სუმბათაშვილი და ე. გეგეჭკორი.

(პ. ფ.)

# უცხოეთში(?)

## ჩეხო-სლოვაკია.

### ექსპორტი ამერიკაში.

იანვრიდან ივლისის დამლევამდე ჩე-ხო-სლოვაკიამ ამერიკის შეერთებულ შტა-ტებში გაიტანა 5 მილიონი 603.000 დო-ლარის საქონელი; იმავე ხნის განმავლო-ბაში იქიდანვე შემოიტანა 6 მილიონი 212.000 დოლარის საქონელი.

—

### შაქრის ექსპორტი.

1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე ჩე-ხო-სლოვაკიამ უცხოეთში გაიტანა 2 მი-ლიონი 78,000 კანტალი (კანტალი უდ-რის 2 ნახ. ფუთს) შაქარი.

—

ალებ-მიცემობის ბალანსი 1919 წლი-სა დამთავრდა 1,2 მილიარდის დეფი-ციტით. რვეალი 6,5 მილიარდიანი იმ-პორტის ციფრიდან 3,8 მილიარდი მოხ-მარდა სურსათ-სანოვაგის შემოზი-დვას.

—

ჩეხო-სლოვაკიის უმთავრესი საექს-პორტო საგანი იყო 1919 წელს შაქარი (1,5 მილიარდისა), ხე-ტყე და სხვა. მე-ორე ხარისხოვანი საექსპორტო საგანია: ქაღალდეული, შუშეული, ფაიფურეუ-ლი, ტყავეული და სხვა. ქვეყანა მდი-დარია აგრეთვე ქვანახშირით, კაოლი-ნით და რკინის მადანით.

—

### საკომერციო ხელშეკრულება.

ჩეხო-სლოვაკიის ფინანსთა მინისტრ-მა, ომანი პოტიეცმა და საფრანგეთის ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავეს სა-კომერციო ხელშეკრულების პროექტი. ამ პროექტით საფრანგეთი სეკვესტრა-ციისაგან ანთავისუფლებს იმ ქონებას, რომელიც ჩეხო სლოვაკებს საფრანგეთ-ში ჰქონდათ და ანიჭებს საფრანგეთში შემოზიდულ ჩეხო-სლოვაკიის საქონელს მინიმუმ საბაჟო ტარიფს. სამაგიეროთ ჩეხო სლოვაკიამ, წინანდელ არსებუ-ლი აკრძალვის, თავის ქვეყანაში უნდა შემოუშვას საფრანგეთის შემდეგი საქო-ნელი:

3000 ავტომობილი, 700 ტონი აბრე-შუმეული, 500 ტონი საპონი, 100 ტო-ნი სხვა და სხვა სურნელება და 40.000 ჰექტოლიტრი ღვინო.

### ჩეხო-სლოვაკიის ბიუჯეტის მდგომარეობა.

იმ მოხსენებიდან, რომელიც ბ-ნმა პოსპიშილმა, ჩეხო-სლოვაკიის ფინანსთა სამინისტროს საბანკო განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგმა, წარადგინა ბრიუსელში საერთაშორისო ფინანსიურ კონფერენციაზე, ირკვევა შემ-დეგი:

თვით არსებობისა და თავისი პირვე-ლი საბიუჯეტო წლის 1919 წლის გან-მავლობაში, ჩეხო-სლოვაკიას ჰქონია დე-ფიციტი 5 მილიარდი ჩეხო-სლოვაკურ-კრონი 8 მილიარდ ნახევრის ბიუჯეტ-ზე. 1920 წელს საბიუჯეტო მდგომარე-ობა ბევრად გამოსწორებულა. სახელმწი-ფოს სულ ჰქონია 2 ნახევარი მილიარ-დი კრონი დეფიციტი და ისიც 10 ნახევარ მილიარდიან ბიუჯეტზე.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობას მიუღია ყოველი ღონისძიება რომ როგორმე მიაღწია საბიუჯეტო წონასწორობის-თვის და რომ შემოსავლით დაფარულ-ყო თვით არა ჩვეულებრივი ხარჯე-ბიც.

მართალია, 1921 წლის ბიუჯეტი აღ-ნიშნავს რვეალის ციფრით 14 მილიარდ ჩეხოსლოვაკურ კრონს, რომელიც საზოგადოების ხარჯებს საკმაოდ ჰფარავს. მთავრობა კრედიტებს და სესხს მხოლოდ იმისათვის მიმართავს, რომ დაიკმაყოფილოს საშუალება და ღონისძიება სახელმწიფო რკინის გზებისა და სამხედრო მასალის შეძენისა და გასაფართოებლად, აგრეთვე ფოსტისა, ტელეფონისა და ტელეგრაფის და სხვა სახელმწიფო წარმოებათა გასაუმჯობესებლად. სახელმწიფოს მთელი ვალი ნაანგარიშევია 35 მილიარდი ჩეხო-სლოვაკური კრონი. ამაში შედის როგორც შინაური, ისე საგარეო სესხი და აგრეთვე ავსტრიის და უნგრეთის სესხების ის ნაწილი, რომელიც ჩეხო სლოვაკიას ერგება. უცხოეთის ... 30 ...

...ნისს ჩეხო-სლოვაკური კრონით 7 მი-ლიარდს.

### გორკის პიესა.

მ. გორკიმ დასწერა ახალი პიესა. ვასილი ოსტროვის საცენზურო კომიტეტ-მა მეორეთ დადგმის შემდეგ ეს პიესა, როგორც კონტრრევოლიუციონური, მოხ-სნა რეპერტუარიდან ამითვე ახსნა „წი-თელი გაზეთის“ რეცენზენტმა, რომ „ბურჟუაზია თბილად შეეგება ამ პი-ესის დადგმას და თეატრი ორივეჯერ სავსე იყო.

(გ. რ.)

### ლიტერატორების სახლი.

როცა ბოლშევიკებმა გაიგეს, რომ ინგლისის მუშების დელეგაციას აგზავნიან რუსეთში, და წყეს იზადება რომ უცხო სტუმრებს არ დაენახათ ყველა ის „სიკეთე“, რომელიც მათ რუსეთს მო-უტანეს. გაიხსენეს ლიტერატორებიც და რომ ცოტათი მაინც გამოესწორებიათ თავის დანაშაული ამ ბედისგან დაჩაგ-რულ ხალხის წინაშე, მოაწყეს „ლიტე-რატორების სახლი“, სადაც მწერლე-ბი, რომელთაც საშვალება არა აქვთ გამოსცენ თავისი ნაწერები, საჯაროთ კითხულობენ ამ ნაწერებს

(ვ. რ.)

# დეპეშები.

## მდგომარეობა უკრაინაში.

ხარკოვი. „იზვესტია“ იუწყება: უკრა-ინაში უპარტიოთა გავლენა ძლიერდება. მუშათა დეპუტატების საბჭოში უკანას-კნელ არჩევნების დროს გავიდა 333 კო-მუნისტი და 167 უპარტიო.

## მახნო და ბოლშევიკები.

მოსკოვი. „იზვესტია“ იუწყება: მახ-ნოს მომხრეები წინააღმდეგი არიან წი-თელი ჯარის მიერ შექმნილ წესწყობი-ლებისა; მათ შექმნეს საკუთარი ორგა-ნიზაცია ანარქისტულ საფუძველზე. არ-ჩევითი წესი უარყოფილია. ყველა მო-ხალისეს, რომელიც მახნოს რაზმებიდან წითელ არმიაში გადაირიცხება, სიკვდი-ლი ელის. მიტაც გავრცელებულია დახ-ვრეტა სასამართლოს დაუდგენლად.

## სასურსათო კრიზისი რუ-სეთში.

მოსკოვი. „ეკონომიჩესკაია ჟიზნი“-ს ცნობით მუშათა დაკმაყოფილება პურით თანდათანობით იკლებს. მოსკოვის მუ-შები ივნისის განმავლობაში პურით და-კმაყოფილებულნი იყვნენ 57 პროც., ივ-ლისში 38 პროც., აგვისტოში—36 პროც. და სექტემბერში—26 პროცენტით. ამ ხნის განმავლობაში სრულებით არ აწვ-დიდენ მათ თევზეულობას. შაქარს აძ-ლევდნ მარტო „დამკვრელ ქარხნების“ მუშებს.

მოსკოვის სასურსათო კომიტეტი სურ-სათ-სანოვაგეს აწვდის ხულ 2.161.900 კაცს, მათ რიცხვში შედიან მუშებიც, სა-მოქალაქო მცხოვრებნი და წითელ არ-მიელნი თავისის ოჯახებით.

## ნაციონალისტური მოძრაობა სამხრეთ-აფრიკაში.

ლონდონი. „ტაიმსი“ იუწყება: „სამ-ხრეთ-აფრიკის საფრთხის“ შესახებ: სამ ხრეთ-აფრიკაში იზრდება „ჰოლანდიუ რი“ ნაციონალისტური მოძრაობა, რო-მელიც მიმართულია ინგლისის წინააღმ-დეგ და სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის შექმნისაკენ.

## საბერძნეთი და ანტანტი.

ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ ვე-ნიზელოსის დამარცხება მოულოდნე-ლი იყო ევროპისათვის იმის გამო, რომ საბერძნეთში დახურული იყო ოპოზი-ციონური გაზეთები. ამავე საკითხის შე-სახებ ბერლინის პრესა აღნიშნავს: სა-ბერძნეთისადმი დახმარება არ შედის ამ ჟამად ინგლისის მთავრობის ანგა-რიშში, რადგანაც ინგლისის მთავრო-ბას ქემალისტებთან შერიგება სურ-სოს. მდგომარეობა საბერძნეთში კვლავ გამოურკვეველი რჩება: ინგლისი და საფრანგეთი წინააღმდეგნი არიან საბერ ძნეთის ტახტზე მეფე კონსტანტინეს და-ბრუნებისა, იმ დროს, როდესაც ბერ-ძენთა უმეტესობა და აგრეთვე იტა-ლია და ოსმალეთი კონსტანტინეს მხა-რეზეა.

## მცხოვრებთა რიცხვი ჩრდილ. ამერიკაში.

ვაშინგტონი. სტატისტიკურ ბიუროს ცნობით ჩრდილო ამერიკის შეერთე-ბულ შტატების მცხოვრებთა რიცხვი ა. წ. ოქტომბრის პირველს უდრიდა 105.786 ათას სულს, ე. ი. 13.795.000 მეტი იყო, ვიდრე 1910 წელში. მცხოვრებთა რი ცხვი 15 პროც. მოიმატა. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ აღნიშნული მომატება შეერთებულ შტატების ისტორიაში მე-ტად მცირეა. ეს სიმცირე მსოფლიო ომით აიხსნება.

## მოსავალი საფრანგეთში.

პარიზი. მიმდინარე წელს ხორბლეუ-ლობის მოსავალი წარსულ წლებთან შე-დარებით ძლიერ გაიზარდა. დათესილ ადგილმა სივრცე გადიდდა 6 პროცენ-ტით ... 26 ...

...ნი“ აღნიშნავს, რომ მიუხედავათ კარგი მოსავლისა, ხორცი და პური მაინც ძვი-რად ფასობს.

ჟურნალ „დე-დება“ იუწყება სემიპა-ლატინსკის რაიონში მომხდარ აჯანყე-ბის შესახებ. ორენბურგის გუბერნიაში აჯანყებულებს მოუსპიათ საბჭოთა რე ჟიმი. გლეხები ყაზახებთან ერთად ტ იმპ-კის წინააღმდეგ გალაშქრებას აპირე-ბენ.

რომი. უკანასკნელ დღეებში დააპა-ტიმრეს რამდენიმე ანარქისტი. ვენეციასა და გენუაში დაატუსაღეს მუშათა გაერ-თიანების საბჭოს წევრები.

# ს. დ. ს. ბიუ. ცნობები.

## არეულობა ტოკიოში.

ლონდონი. პრესა იუწყება: ტოკიო-დან მოსულ ცნობით, დააპატიმრებიათ კორეიის აჯანყების მეთაური.

## კამენი.

პარიზი. „ჟურნალ დე-დება“ სწერს: კამენი განაგრძობს ბოლშევიზმის ქადა-გებას საფრანგეთში. მართალია კამენმა ორი თვე დაჰყო რუსეთში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი თუნდ ოდ-ნავად მაინც გაეცნო რუსეთის ყოფა-ცხოვრობას. მისი გაცნობა საბჭოთა რუსეთისა იმაში გამოიხატებოდა. რომ იგი დადიოდა ერთი ბანკეტიდან მეო-რე ბანკეტზე და სრულებით არ ესმოდა რუსული ენა.

## ქრისტიან პროფეს. კავშ. კონ-გრესი.

ესენში საერთაშორისო დელეგატების დასწრებით გაიხსნა ქრისტიან პროფე-სიონალურ კავშირთა მეორე კონგრესი. ორატორებმა აღნიშნეს, რომ სხვა და სხვა ერთა ძმობა შეიძლება დამყარებუ-ლი იქნეს მხოლოდ ქრისტიანულ პრინ ციპზე. მინისტრი შტეგერვალდი მოით-ხოვდა, რომ შეკავშირებული ქრისტიანი მუშები, რომლის რიცხვი 10 მილიონს აღწევს, დაეხმარონ სამშობლოს აღდგე-ნაში, მოითხოვდა ვერსალის ხელშეკრუ ლების გადასინჯვას, ილაპარაკა მეწველ ძროხების გადაცემის წინააღმდეგ, მო-ითხოვდა პარლამენტის კომისიის, ქრის-ტიანულ ეროვნულ გაზეთისა და ქრისტ. ნაციონალურ ბანკის დაარსებას. ყველა რეზოლიუცია ერთხმად მიიღეს.

# გერმანული ცნობ.

## ხორბალი გერმანიისთვის.

აგვისტოს შუა რიცხვებიდან სექტემ-ბრის შუა რიცხვამდე გერმანიის მთავ-რობამ იყიდა მილიონი ტონი ხორბა-ლი.

# ლიონის ცნობები.

## საბერძნეთი და ანტანტის სახე-ლმწიფონი.

პარიზი 23. მინისტრთა საბჭოთა თა ვმჯდომარე ლეიგი პარიზს 25-ს დასტო ვებს, თუ პალატაში ვატიკანთან დიპ-ლომატიური დამოკიდებულების განახ-ლების საკითხი დასრულდა. ის წავა ლონდონში ლოიდ—ჯორჯთან საბერ ძნეთისა და აღმოსავლეთის საკითხზე სათათბიროდ. საგარეო საქმეთა გენე რალური მდივანი ბერტელო მასთან წა-ვყვება. საფრანგეთისა და ინგლისის მთა ვრობის ერთგვარად წინააღმდეგია კონ-სტანტინეს ტახტზე დაბრუნებისა, მის მიერ კონსტიტუციის და ომის დროს საბერძნეთის დამოკიდებულების პირო ბის დარღვევისა და მის მიერ ანტანტი-სადმი მტრულ განწყობილების გამო. ინგლისი და საფრანგეთი კონსტანტინეს ათიანაში დაბრუნებას ძალით არ გაუ წევენ წინააღმდეგობას, მაგრამ ისინი აფრთხილებენ საბერძნეთის ხალხს, რომ ეს დაბრუნება პოლიტიკურ ეკონომიუ-რსა და ფინანსიურ დამოკიდებულებე-ბში ცვლილებებს გამოიწვევსო.

## ვენიზელოსი და საფრანგეთი.

პარიზის ქალაქის საბჭომ ორშაბათს გადასწყვიტა ვენიზელოსის ჰქმიმართ გა-მოსთქვან თანაგრძნობა და პარიზის ერთ ერთის ქუჩას მისი სახელი უწო-დოს.

## ტრიბბიჩის გასვლა მთავრო-ბიდან.

სამხრეთ—სლოვაკ. იის საგარეო საქმე-თა მინისტრი ტრიბბიჩი. სთვლის რა თავის მიზეზებს მიღწეულად, გადად გა.

## საფრანგეთის მინისტრთა საბ-ჭოს სხდომა.

მინისტრთა საბჭოს სხდომა სამშაბა-თს მილიერანის თავმჯდომარეობით შე-სდგა. თავმჯდომარემ აუწყა კრებას სა ბერძნეთის არჩევნების მდგომარეობა. საზოგადოებრივ საქმეთა და შრომის მი-ნისტრმა აუწყა საბჭოს იმ შეთანხმება, რომ რომ ხდა შემაღაროეთა ფედერაციის ეროვნულ საბჭოსა მაღაროს მეპატრო-ნეთა და მთავრობის შორის.

# რუსეთის ცნობები.

## სამხედრო ცნობა.

მოსკოვი, 23—11 ჩრდილოეთის ფრო ნტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. და-სავლეთის ფრონტი. მოზირის რაიონში ბალახოვიჩის ჯარს კალინოვიჩის ჩრდი ლოეთ—დასავლეთით 20 ვერსზე შეხდა ჩვენი ჯარი, ბრძოლა სწარმოებს, რო მლის შედეგი ჯერ არ გამორკვეულა. დადევნების დროს ჩვენ წამოვიყვანეთ რამოდენიმე ასი ტყვე. პეტლიურას ჯა-რის ნაწილი საზღვარზე გადავიდა, ისი-ნი პოლონეთის ჯარმა გაანიარაღა.

## სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი.

სატრო—კონსტანტინოვკის რაიონში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. ვოლოჩინსკის მიმართულებით პეტლიურას ჯარი დავა-მარცხეთ, ჩვენმა ჯარმა ვოლინსკი აიღო ბრძოლის დროს წამოვიყვანეთ მრავალი ტყვე. ხელთ ვიგდეთ 14 ზარბაზანი, 150 ტყვიის მფრქვეველი. 3 ჯავშნიანი მა-ტარებელი, 3 ვაგონი და სხვა მრავალი ნადავლი.

## სამხრეთის ფრონტზე.

სიწყნარეა. კავკასია - ტურკესტანის ფრონტზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

მოსკოვი, 24 | 11. საბჭოთა რუსეთმა ზურგში გამარჯვებას უნდა მიაღწიოს აუცილებლად. მეტალურგიულ ქარხნების და ტრანსპორტს არა აქვს სათბობი მა-სალა. ზოგიერთ ადგილებში წარმოება შემცირდა. დონის ბოლაზი, ეს მთავარი ადგილი ნახშირისა საჭიროებს მოწყო-ბას. არა აქვს საკმარისი ქვაბები, სუს-ტია ელექტროფიკაცია. ყოველივე მოკლე ხანში უნდა მოწესრიგდეს. დონის ოლქი ორჯერ მეტს ნახშირს მოგვცემს ზომე-ბის მიღების შემდეგ ვიდრე ეხლა. ზო-მები დაუყონებლივ უნდა იქნეს მიღებუ ლი. მშრომელმა მასამ გმირული ზომებით უნდა განაგრძოს სახალხო მეურნეობის აღორძინება: ყოველივე მსხვერპლი უნ-და გავიღოთ უნდა გავაორკეცოთ და გავასამკეცოთ შრომა.

საფრანგეთისა და ჰუნგრეთის თვთრ-გვარდიელ მთავრობის ფარული ხელშე-კრულება... (დამახინჯებულია)... საფრა-ნგეთის ცდამ გააერთიანებია რუმინია უნგრეთი და პოლონეთი და ეს კავშირი რუსეთის წინააღმდეგ გამოეყენებია, ცუდათ ჩაიარა.რას მიაღწევს ჩვენმა მტ-რებმა? საფრანგეთის ბურჟუაზიული გა-ზეთები სწერენ: ყირიმის დაჭერის შე-მდეგ, საბჭოთა რუსეთი იქ იმდენ სამ-ხედრო მასალას ჩაიგდებს ხელში, რაც წითელ ჯარს გააძლიერებს და განამტ-კიცებსო. ვრანგელის დამარცხების შემ-დეგ უკანასკნელ დღეებში რუსეთის ნი-კოლოზის ფულის ფასი ძლიერ დაეცა ამას უკავშირებენ ვრანგელის დამარც-ხებას, რომლისთვისაც საზღვარ გარეთე-ლი ბანკები ყიდულობდნენ მეფის ფუ-ლებს,—სამხრეთ სლავიის მთავრობას მიმართა ვრანგელმა თხოვნით, რათა ნე-ბა დართოს მას ყირიმიდან გამოქცეული 20,000 კაცი მოათავსოს იქ. ყირიმიდან გამოქცეულებს მოათავსებენ აგრეთვე რუმინეთში და ბულგარეთში. ვრანგელი აცხადებს, რომ უნდა დაარსდეს საბჭოთა წინააღმდეგ იგ ახალი ჯარი.

## ბოლშევიკების გასამართლება.

პოლონეთის სამხედრო სასამართლო-ები საბჭოთა ყველა მოსამსახურეს სა-სამართლოში აძლევენ.

საკმარისია, რომ ესა თუ ის პირი საბჭოთა დაწესებულებაში ან მილი-ციაში მსახურობდეს, რომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანონ

მლავში და ცეხანოვში რამდენიმე დღის განმავლობაში 28 ასეთი საქმე გაირჩა, 12 კაცს გადაუწყვიტეს სიკვ-დილით დასჯა, დანარჩენებს ციხეში ჯდომა.

პოლონეთის გენერალმა ჟულიგოვსკიმ ლიტვას შეუტია. შეტევასთან ერთად ჟელიგოვსკის ჯარში გაძლიერდა აჯან-ყება. აჯანყებულმა პოლკმა ხელთ იგდო 4 ჯავშნიანი.

## ჰუნგრეთში.

ჰუნგრეთის თეთრ გვარდიელთა ბე-ლადების—ლუგაშევიჩისა და ხორტის შორის შეიარაღებული ბრძოლა იწ-ყება.

ლუკაშევიჩს მხარეზეა თეთრ გვარ-დიელთა კადრის ოფიცრები, ხორტის მხარეზე—ბიუროკრატია.

ამავე დროს უნგრეთში ძლიერდება მუშათა მოძრაობა.

# თავდაცვის გარშემო.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტე-ტის ყველა სექცია მუშაობას შეუდგა. სექციისა და კომისიის მუშაობათა შე-სათანხმებლად და მოღვაწეობის გასაე-რთიანებლად ნოემბრის 25 დამფუძნე-ბელი კრების შენობაში შესდგება კო-მიტეტის სექციათა კრება. ამ სხდომაზე განიხილება საკითხი მთავარ კომიტეტსა და რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის კომიტეტის მუდმივ ურთიერთ დამოკი-დებულების დამყარების შესახებ.

(ს. დ. ს.)

# ახალი ამბები.

## მთავრობაში.

— მთავრობაში. მთავრობის ა. წ. 16 ნოემბრის დადგენილებით გუდაუთის მაზრიდან დროებით გამოეყო (გაგრა ბიჭვინთა—ფსოუს) სამხედრო რაიონში მდინარე პაიფსამდე. მთავრობის საგან-გებო რწმუნებულათ აღნიშნულ რაიო ნში დაინიშნა დამფუძნებელ კრების წევრი ლ. რუხაძე.

— მთავრობის თავმჯდომარის სახელ ზე მოვიდა შემდეგი დეპეშა: სოხუმის მუშათა და მოსამსახურეთა საავადმყოფო კასის რწმუნებულთა საერთო კრება მი-ესალმება მთავრობის თავმჯდომარეს რესპუბლიკაში მუშათა პირველ აფთია-ქის გახსნის გამო.

— სოხუმის პროფესიონალურ კავში-რთა საერთო კრება, ღელავს რა მხე-დველობაში საქართველოს საგარეო მდგომარეობას, უცხადებს რესპუბლიკის პროლეტარიატს მთავრობისა და დამფუ ძნებელი კრების სახეში, რომ სოხუ-მის პროფესიონალური კავშირები მზად არიან მტრის დამარცხების მიზნით სო-ციალიზმის საკურთხეველზე მიიტანონ ყველა თავისი მატერიალური და სული-ერი ძალა.

## სამინისტროებში

— იუსტიციის სამინისტროში. იუს-ტიციის სამინისტრომ საოლქო სასამარ თლოებს. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეებს და ხელ ქვეით დაწესებულებებს შემდეგი ცირ-კულიარი დაუგზავნა: საკანცელარიო მუშაობის წარმოებით წაყვანისა და ზოგიერთ ნაკლის თავიდან აშორების მიზნით წინადადებას გაძლევთ მიიღოთ ყოველგვარი ზომები რათა თქვენ მიერ რწმუნებულ დაწესებულებათა მოსამსა-ხურეები აუცილებლად ცხადდებოდნენ სამსახურში დანიშნულ დროზე. ცნობებს მთხოვნელებს უნდა აწვდიდნენ სასწრა-ფოდ და გარკვევით. მთხოვნელებს უუ რადღებოდ უნდა მოეპყრონ. უწყების თანამშრომლებმა უცილობლად და გამო უდელ მთხოვნელებს უნდა აჩვენონ სათანადო გზა. სხდომები სასამართლო-ებში დანიშნულ დროზე უნდა იწყებო-დეს. საერთოდ დაუყონებლივ უნდა მო სპოს საქმისადმი გულგრილი მოპყრო-ბა და ბიუროკრატიული ხაქმის წარ-მოება.

— ფინანსთა სამინისტროში. ნოემ-ბრის 19-ს ფინანსთა მინისტრის საბ-ჭოს სხდომაზე განიხილეს საბაჟოს ახა-ლი ტარიფი შემოსატან და გასატან სა-ქონლებზე. ახალი საბაჟო ტარიფის მი-ხედვით გასატანი საქონელი იყოფება ოთხ ჯგუფად: 1. სურსათ სა-ნოვაგე, მიწის დასამუშავებელი იარაღე-ბი და მანქანათა ნაწილები უბაჟოდ შე-მოიტანება, 2. სავსებით აკრძალულია ფუფუნების საგნების შემოტანა, 3. მას-სიურ სახმარებელ საგნებზე დაწესდე-ბა მცირედი ბაჟი და 4. ყველა სხვა და-ნარჩენ შემოსატან საგანს დაედება ბა-ჟი იმისდა მიხედვით თუ როგორ საჭი-როებას წარმოადგენენ ისინი რესპუბ-ლიკის მცხოვრებთათვის. გასატანი სა-ქონლები განიყოფება სამ ჯგუფათ: 1. პირველ საჭიროებისა ან მასსიურ სახმარებელ საგნებს აკრძალვითი ბაჟი ედება, 2. სამონოპოლიო საქონლის და ყოველგვარი ნედლი მასალების გა-ტანა, რომელთაც განსაკუთრებული მნი-შვნელობა აქვს უცხო ბაზარზე, ე. ი. მარ ანეცის, თამბაქოსი, აბრეშუმის, მა-ტყლისა და სატყეო მასალის ნებადარ-თული იქმნება მთავრობის მიერ დაწე სებულ სათანადო ბაჟის გადახდის შემ-დეგ და 3. სხვა საქონლები, რომელთაც დიდი ბაჟი ედება. აღნიშნულ ტარიფის საერთო პრინციპი გამოიხატება იმ მის-წრაფებაში რომ გაძლიერდეს საქონლის გატანა და შემცირდეს შემოტანა, რაც ხელს შეუწყობს დადებითი სავაჭრო ბა-ლანსის განმტკიცების საქმეს.

— პრივილეგიების მინიჭება. ფინან-სთა სამინისტროს ტეხნიკურ კომიტე-ტის სხდომაზე დაადგინეს პრივილეგი-ები მისცენ: 1. გ. ფლიშერს სტრაბო-სკოპის გამოყენებისათვის სახელმძღვა-ნელოდ უმავთულო ტელეგრაფის სწავ-ლების დროს, 2. ვ გაბაშვილს უნივერ-სალურ ჯიბის დანის „უნივერსალის“ გამოგონებისათვის, 3. ფ. შვარცს—გაუ-მჯობესებულ ავტომობილის „შინები“ ს გამოგონებისათვის. დასასრულ მოისმი-ნეს კომისიის მოხსენება საწონ-საზომ პალატასთან შესაკეთებელ სახელოსნოს მოწყობის შესახებ. პროექტის ხარჯთა-აღრიცხვა მოიწონეს, ამასთანავე გადა-წყვიტეს შუამდგომლობა აღძრან ფინან-სთა მინისტრთან, რომ მან ნება და-რთოს მთავრობის საწყობებიდან სახე-ლოსნოსათვის საჭირო მოწყობილების გამოტანის.

## სხვა და სხვა.

—სასოფლო-სამეურნეო პალატა.მევე-ნეთა და მეჯინიბეთა ყრილობაზე აღიძრა საკითხი საქართველოს სასოფლო-სამეურ-ნეო პალატის დაარსების შესახებ პალა-ტის მიზანი იქნება მეღვინეთა და მევე-ნახეთა, მეთამბაქოეთა, მეაბრეშუმეთა და მესაქონლეთა—მეცხვარეთა ყრილო-ბის საბჭოთა გაერთიანება.

მეურნეო—ცხოველების სხვა და სხვა დარგებისათვის ერთი ცენტრი. ყოველი საბჭოთაგანი თავის მოქმედებაში დარჩება ავტონომიური. ამოირჩიეს საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც უნდა მოიწვიოს საბჭოთა წარმომადგენლების კრება სახოფლო-სამეურნეო პალატის დაარსების საკითხის შესახებ მოსალაპარაკებლად.

—სასურსათო ცხოვრება. ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებამ შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდისათვის შეადგინა ანგარიში იმ გასავალისა, რომელიც დახარჯული იყო ხორბლის გასაწმენდათ, დასაფქვავად და მუშებისა და მოსამსახურეებისათვის პურის გამოსაცხობად. ეს ანგარიში შეიცავს მარტო ოქტომბრის გასავალს. ანგარიშის მიხედვით ოქტომბერ. დაიხარჯ. 8.981.482 მან. გასავლის ანგარიშში განყოფილებას მიუღია 6.022.300 მან. ოქტომბრის განმავლობაში პურის გამოსაცხობათ გადაუციათ 36.738 ფუთი სხვა და სხვა ფქვილი; გამოუცხვიათ 51.299 ფუთი პური მუშათა მაგიდის ორდერებით დაურიგებიათ 50.581 ფ. 26 გირვ. პური. გამომცხვარ პურს სულ მიუმატია 17.182 ფ. საშუალო ხელფასი ერთ ფ. პურზე უდრის 27 მან. და 17 კაპ. საშუალო გასავალი ერთ ფუთ გამომცხვარ პურზე უდრის 51 მან. და 27 კაპ.

— ნოემბრის 23 რადიო ტელეგრაფის გუნდთან ავტომობილისა და რადიო ტელეგრაფის კურსები გაიხსნა.

— საქართველოში მყოფი საბჭოთა რუსეთის მისიის თავმჯდომარე შეიმანი და მრჩეველი ს. ქავთარაძე საგანგებო მატარებლით ბაქოში გაემგზავრნენ.

— მასწავლებელთა კავშირში. მასწავლებელთა კავშირმა დაადგინა: დაუყონებლივ დაარსდეს კოოპერატივი სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირისა, მიღებულ იქმნან კოოპერატივის წევრებად თბილისის საშუალო სკოლის მასწავლებლები; თვითეული მასწავლებელი ვალდებულია შემოიტანოს 500 მან. საწევრო გადასახადი.

— თბილისის კლუბთა კავშირმა დაადგინა გაასაჩივროს სენატში შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილება კლუბების დახურვის შესახებ. ვექილებად მოწვეულ იქმნენ ნაფიცი ვექილები; ქიქოძე, ზურაბიშვილი, ანდრონიკაშვილი, კუსიკოვი და კვირკველია.

— სასახლის შეკეთება უკვე დამთავრდა. დამფუძნებელის კრების პრეზიდიუმმა გაანაწილა ბინები სასახლეში ფრაქციათა შორის სასახლის შეკეთება დაჯდა ათ მილიონამდე.

— წერა-კითხვის საზოგადოების მთავარი გამგეობა შეუდგა მიმდინარე წლის ანგარიშის შედგენას. საანგარიშო წელს საზოგადოებამ მრავალი სახელმძღვანელოები და ჩვენი მწერლების სხვა—და სხვა ნაწარმოებნი გამოსცა.—

— განათლების მინისტრად, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ინიშნება გრ. ლორთქიფანიძე.

## ბათომში.

— გუშინ ჩაუშვეს ზღვაში მატორიანი გემი „ევანგელისტოს".

—ქალაქში გრძელდება საეჭვო პირთა დატუსაღება.

— გაზ. ,,ბოსფორის'' 11 ნოემბრის ნომერში მოთავსებულია ქრონიკა ბათომზე, სადაც ნათქვამია, რომ ქალაქში რეკვიზიციებმა მეტად შეავიწროვა უცხოელები.

— კონსტანტინეპოლის ყველა ბანკებში ქართულ ბონებს თხოულობენ.

— ბათომის ოლქის კომისრად დანიშნული მიქაბერიძე ბათომში ჩამოვიდა და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა.

— ოლქის კომისარი გ-ნ ალ. შენგელია დაინიშნა გან აკუთრებულ რწმუნებულის საქმეთა მმართველად.

— საგანგებო რაზმის უფროსის გ ნ კედიას განკარგულებით დატუსაღებულ იქმნა ამ დღეებში არალეგალურად დაარსებული ,,მეზღვაურთა'' კავშირი, რომელიც რესპუბლიკის მეზღვაურთა კავშირს არ ექვემდებარებოდა და აგრეთვე გემზე ადგართა ბოლშევიკური დროშა საბჭოთა კონსულის წინადადებით. დატუსაღებულნი გაიგზავნენ ქ. ქუთაისის ციხეში.

### ნავთსადგურში.

— მოვიდა 22 ნოემბერს გემი ,,კონსტანტინ'', რომელიც ბერძენ ლტოლვილთ წაიყვანს სალონიკში. 21 ნოემბერს განუიდან იტალიელთა გემი ,,კონსტანტინე'' და ამ კვირაში უკანვე დაბრუნდება.

— ამ დღეებში ფოთში წავა იტალიანურ საზოგადოების გემი ,,სიკანია''.

— ოსმალეთიდან მოვიდა რამდენიმე იალქნიანი გემი.

— ამ დღეებში გემი ,,პოტოა'' საბერძნეთში წაიყვანს ბერძენ ლტოლვილებს.

### საბინაო საკითხი.

— მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულის კაბინეტში ნოემბრის 20 ნა შუადღევის 5 საათზე განსაკუთრებულ რწმუნებულის თაოსნობით მოხდა მცირე თათბირი ქალაქში საბინაო სარეკვიზიციო ნიადაგზე უკმაყოფილებათა წარმოშობის გამო. თათბირმა დაადგინა ს რეკვიზიციო კომისია გაუქმდეს, მის მაგივრად დაარსდეს საბინაო კომისია რომელსაც ექნება ბინათა წინასწარ დათვალიერების შემდგომ შესახლების უფლება შესახლება მოხდება მხოლოდ სახელმწიფო მოხელისა, ეს კომისია იმუშავებს სულ რამდენიმე კვირას, ვიდრე მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს, შემდგომ კი ასეთი კომისია სრულიად გაუქმდება და ეს საკითხი (საბინაო) გადაეცემა ქალაქის თვითმართველობას.

## შრომის სამინისტროში.

შრომის სამინისტროში შეიმუშავეს მუშა ძალის ანგარიშისა და განაწილების განყოფილების წესდების პროექტი. პროექტის ძირითადი დებულებანი შემდეგია: 1) შრომის სამინისტროსთან არსდება მუშა ძალის ანგარიშისა და განაწილების განყოფილება, 2) განყოფილების მიზანია—შეაერთოს რესპუბლიკის საზღვრებში არსებულ ყველა შრომის ბირჟის მუშაობა, 3) მუშა ძალის ანგარიშისა და განაწილების განყოფილება ხელმძღვანელობას უწევს ყველა არსებულ ბირჟას, ხსნის ახალ ბირჟებს, ინსტრუქციას აძლევს მათ და სხვ. 4) განყოფილება ცნობებს კრებს მუშათა ბაზრის მდგომარეობის შესახებ ადგილობრივ, 5) ხელს უწყობს უმუშევართა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე შეღავათიან პირობებში გადაყვანას; ამ მიზნით იგი მოლაპარაკებას აწარმოებს სათანადო უწყებებთან. 6) განყოფილებასთან ეწყობა სტატისტიკური შინა განყოფილება მუშათა ბაზრის მდგომარეობის შესახებ ცნობების შესამუშავებლად, 7) გაფიცვისა და ლოკაუტის ჟამს რომელიც შეიძლება საქართველოს რომელიმე რაიონში მოხდეს, განყოფილება ამის შესახებ ამცნობს არსებულ შრომის ბირჟებს და წინადადებას მისცემს მათ შესწყვიტონ თავისი მოლვაწეობა იმ წარმოებათა მიმართ სადაც ამ უთანხმოებამ იჩინა თავი. შრომის ბირჟათა მოღვაწეობა ამ წარმოებათა მიმართ შეწყვეტილი იქნება მანამდის, სანამ ორივე მხარისაგან ისინი არ მიიღებენ ცნობებს, რომ უთანხმოების ლიკვიდაცია უკვე მომხდარია, 8) განყოფილებას ინახავს შრომის სამინისტრო თავისი ხარჯით.

— მუშათა მაგიდა შეუდგა ათ-ათი გირვანქა კომბოსტოს დარიგებას, ფუთი ღირს 200 მან. კომბოსტოს იძლევიან ავჭალის ქუჩაზე არსებულ მუშათა მაგიდის საწყობიდან.

— შრომის სამინისტრო ახალციხის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფესიონალურ კავშირს გაუგზავნა 700 ფუთი ხორბალი და 350 ფ. ნავთი ახალციხისა და მისი რაიონის მუშათა და მოსამსახურეთათვის დასარიგებლად. ამას გარდა გაიგზავნა 500.000 მანეთი სურსათ-სანოვაგის ადგილობრივად შესასყიდათ.

## სამხატვრო ქრონიკა.

**სახელმწიფო ოპერის თეატრში.**

ნოემბრის: 25—ს მესამედ ქართულ ენაზე ,,ღალატი.''

ნოემბრის: 26—ს ბალეტის საღამო ,,ჟიზელი''

ნოემბრის: 27—ს ოპერა მუშებისათვის ,,კოტე და ქეთო.''

ნოემბრის: 28—ს ,,აბესალომ და ეთერი.''

**სახელმწიფო დრამის თეატრში.**

ნოემბრის: 25—ს ომში დაჭრილთა და დასახიჩრებულთა კავშირის საღამო: 1. დარისპანის გასაჭირი, 2. ირინეს ბედნიერება.

ნოემბრის 28—ს: ,,ზღვასთან.''

დეკემბრის 4—ს: პირველად ორიგინალური ტრაგედია ,,ბერდო—ზმანია.''

**სახალხო სახლში.**

ნოემბრის 25—ს: ,,ღალატი.''

## სასამართლოში.

## ღენ. გ მაზნიაშვილისა და სხ. საქმე

### კამათი.

ბრალმდებელმა მირიანაშვილმა განაცხადა, რომ ვინაიდგან პროცესიდან გამოირკვა, რომ ღენ. მაზნიაშვილს მიუღია პატაკი შესახებ ჩიხელ-ჩურჩუტის აღებისა, უცნობებია ეს სამხედრო მინისტრისთვის და მეორე დღესვე ეს ცნობა მას თვითონვე უარუყვია! ვინაიდგან მას ჰქონია ბრძანება ჯარების არ დახევის შესახებ და ყველა ზომები მიუღია, შესაძლებლობის ფარგლებში, რათა გადაერჩინა სახაზინო ქონება, იგი უარს ამბობს ბრალის დადებაზე.

აგრეთვე ბრალს არ სდებს ღენ. ჯიჯიხიას, ვინაიდგან მას არ გაუცია ბრძანება შტაბის დახევის შესახებ, არამედ გადაუყვანია შტაბი ქალაქის ერთ ადგილიდან მეორე ადგილს, და ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენ ჯარის კატასტროფაში. ბრალმდებელი უარს, აცხადებს ბრალის დადებაზე კაპ. ნაზარეიშვილზე, ვინაიდგან დამტკიცდა, რომ მას ჰქონდა ბრძანება დილით შეტევაზე გადასვლისა, და მას ეს ბრძანება შეუსრულებია.

ბრალმდებელი სდებს ბრალს მამულაშვილს და კანდელაკს მასში, რომ მათ არ შეასრულეს საომარი ბრძანება. თავის სიტყვის ამ ნაწილში ბრალმდებელი ეყრდნობა იმ ჩვენებას, რომელიც აჩვენა ღენ. ჯიჯიხიამ პირველად გამომძიებელს.

ბრალმდებელის შემდეგ პირველი სიტყვა წარმოსთქვა ღენ. მაზნიაშვილის დამცველმა ნაფ. ვექ. თან. იასონ ჯავახიშვილმა. მან სთქვა შემდეგი: „ბატონებო! ბრალმდებელმა უარი განაცხადა ბრალის დადებაზე ღენ. მაზნიაშვილისთვის ერთ-ერთ მუხლში და ნაწილობრივ ტყუილად და დასამტკიცებლად, და არა გასაბათილებლად უნდა მოგახსენოთ შემდეგი: საბრალმდებლო ოქმი შეიცავს ორ ბრალდებითი მუხლს ღენ. მაზნიაშვილის შესახებ და მეც კვალ-და-კვალ, გზა-და გზა შევჩერდები თვითეულ მათგანზე და გავსცემ პასუხს. 5 თებერვალს 1919 წელს ღენ. მაზნიაშვილმა გასცა ბრძანება, რათა ჩვენი ჯარი გადასულიყო შეტევაზე და აეღო მას ჩიხელი და ჩურჩუტი. ამ ოპერაციის წარმოებაში მნიშვნელოვან საომარ ამოცანის შესრულება დაკისრებული ჰქონდა ინტერნაციონალურ რაზმის უფროსს პორუჩიკ ჟორდანიას. გარ თვითონ ღენ. მაზნიაშვილი ხელმძღვანელობდა ბრძოლას, შემდეგ კი მან თავის მოადგილეო დასტოვა ღენ. ჯიჯიხია და თვითონ კი გაემგზავრა შტაბში. ამ დროს მას მოუვიდა ჟორდანიასაგან პატაკი, რომელშიც მოხსენებული იყო, რომ აიღეს ცირა, ცხრუტა, მიქელ-წმინდა, ჩიხელი და ჩურჩუტი. ასეთი პატაკი რომ მართლა მიიღო ღენ. მაზნიაშვილმა, ამას ადასტურებს კაპიტანი გარსევანიშვილი, რომელიც ამბობს: ღენ. სუმბათაშვილმა 5 თებერვალს საღამოთი უთხრა ჯიჯიხიას, რომ ჟორდანიამ გამოუგზავნა ღენ. მაზნიაშვილს მოხსენება ჩიხელის და ჩურჩუტის აღებისა''-ო.

ხოლო აქ დაამოწმა ღენ. სუმბათაშვილმა, რომ ჟორდანიას მოხსენება მან თვითონ წაიკითხა. არ ახსოვს მხოლოდ რა სოფლები იყო მოხსენებაში დასახელებული. თუმცა ჩურჩუტი ახსოვს... და თუ ჩურჩუტი იყო, იქნებოდა ჩიხელიც, ვინაიდგან ისინი ერთად მდებარეობენ.

ღენ. მაზნიაშვილისთვის საკმარისი იყო რაზმის უფროსის მოხსენება. რათა იგი დაყრდნობოდა მას, და, თავის მხრივ, ეს ცნობა მოეთავსებინა იმ ოპერატიულ მოხსენებაში, რომელიც მან იმავე ხუთ თებერვალს გაუგზავნა სამხედრო მინისტრს... და ან რა იყო ჟორდანიას სიტყვებში დაუჯერებელი? მას აეღო სწორედ ის სოფლები, რომლებიც მას დავალებული ჰქონდა ასაღებად!

მაგრამ... შემდეგ ღენ. მაზნიაშვილს ეჭვი შესვლია ჟორდანიას მიერ მიწოდებულ ცნობების სისწორეში, და მას მეორე დღეს, ე. ი. 6 თებერვალს, გაუგზავნია ღენ. სუმბათაშვილი იმის გამოსარკვევად. თუ რამდენად შეეფარდებოდნენ ისინი სინამდვილეს.

და, როდესაც ღენ. სუმბათაშვილს მოუტანია ამბავი, რომ დაბლობებია მხოლოდ აღებული და არა მაღლობები, ღენ. მაზნიაშვილს, სუმბათაშვილის სიტყვით, ფრიად გაჰკვირვებია...

ამგვარად, როდესაც ღენ. მაზნიაშვილს გაუგზავნია 5 თებერვალს თავის მოხსენება შესახებ სოფლების აღების, იგი დარწმუნებული ყოფილა მაში, რომ ეს სოფლები მართლა აღებულია, მიუხედავად იმისა, რომ შემდეგში გამოირკვა რომ 5 სოფლიდან 3 იყო აღებული და ორი კი—არა!

და ამას არ უარჰყოფს თვით საბრალმდებლო ოქმის მეორე ბრალდებითი მუხლი, რომელშიც სწერია: ,,თუმცა ღენ. მაზნიაშვილი დარწმუნდა, როგორც ამ ოპერაციის მომქმედი პირი, მოწოდებულ ცნობების არა სისწორეში''...

და ვინაიდან ღენ. მაზნიაშვილი დარწმუნებული ყოფილა თავის მოხსენების სისწორეში, რასაკვირველია არ შეიძლება ლაპარაკი მაზე, ვითომ ეს იყოს ბოროტმოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია 31 იანვრის კანონის 27 მუხლით.

აღნიშნული კანონი შეეხება მხოლოდ იმისთანა შემთხვევას, როდესაც მოხელე აწვდის თავის უფროსს აშკარა ყალბ ცნობას, ე. ი. როცა მან იცის, რომ ცნობა, რომელსაც იგი აცნობებს, ყალბია! გაიგო თუ არა ღენ. მაზნიაშვილმა ღენ. სუმბათაშვილისაგან საქმის ნამდვილი ვითარება, მან 6 თებერვალშივე მოახსენა მთავარ სარდალს ღენ. გედევანიშვილს: „ბოდიშს ვიხდი, შეცდომაში შეგიყვანეთ: ჩიხელი და ჩურჩუტი აღებული არ არის. ჟორდანიას მოუწოდებია ჩემთვის არა სწორი ცნობა"-ო.

ეს დაამოწმა აქ თვითონ ღენ. გედევანიშვილმა. არ კმარა ეს.

ჩვენ წარმოვადგინეთ ორი საბუთი: ერთია—ღენ. მაზნიაშვილის ლაპარაკი პირდაპირი მავთულით ღენერალ გედევანიშვილთან 6 თებერვალს, რომელშიც სწერია:

„ფარეხიდან ვებრძვით ჩიხელს". მაშასადამე, ნათელია, რომ ჩიხელი მტრის ხელშია.

7 თებერვლის ლაპარაკი ღენ. მაზნიაშვილისა: „დღეს ფარეხში გამოვითხოვე მე ვარხანის წარმომადგენელნი. თუ ჩვენ პირობებს არ მიიღებენ, გადვუწვავ ვარხანს და ჩიხელს"-ო.

ამ ცნობიდან სჩანს, რომ ჩიხელი ჩვენ ხელში არ ყოფილა.

ამგვარად, მეორე ბრალდებაც იმაში, რომ ვითომ ღენ. მაზნიაშვილმა არ უარჰყო პირველად გაგზავნილი არა სწორი ცნობები, არ არის მართალი!

მაგრამ... წარმოვადგინეთ, რომ ღენ. მაზნიაშვილს მოუვიდა შეცდომა და მან იგი არ გამოასწორა!

რა მიზნით ჩაიდინა მან ეს?

საბრალმდებლო ოქმში სწერია: პირადი მოსაზრებითაო!

ყოველ პიროვნებას თავისი მოსაზრება აქვს და ამ მხრივ ყოველი მოსაზრება პირადია!

მაგრამ... რა შინაარსია ამ სიტყვებში ჩაწნული?

ანგარიშისთვის მოიმოქმედა ამას? ხუთ სოფელს აიღებდა ღენ. მაზნიაშვილი, თუ სამ სოფელს—განა ამას მნიშვნელობა აქვს? ან რას შემატებს ღენ. მაზნიაშვილის სახელს ორი იმისთანა სოფლის აღება, რომლების სახელები მაშინ პირველად გავიგეთ? და ან რაა ღენ. მაზნიაშვილისათვის, რომელსაც დღიდან საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორების, აუღია არა ერთი ათეული სოფელი, ორი სოფლის აღება?

ხოლო-რაც შეეხება შედეგებს, ჩვენ დაგვიმოწმეს ღენ. გედევანიშვილმა და სხვა ღენერლებმა, რომ ჩიხელის და ჩურჩუტის აღება-აუღებლობას არ ჰქონია ისეთი მნიშვნელობა, რომ მასთან დაკავშირებული ყოფილიყოს ჯარის გაგზავნა ერთ ფრონტიდან მეორეზე!

მესამე ბრალდებითი მუხლში სწერია, რომ ღენ. მაზნიაშვილმა არ გასცა განკარგულება 11 თებერვალს უკან დახევის შესახებო.

ჩვენ ამას არ უარვყოფთ! და კმაყოფილნიც ვართ, რომ ეს დებულება არ გვეხდა დასამტკიცებელი!

დიახ! ღენ. მაზნიაშვილს ამისთანა ბრძანება არ გაუცია!

და ეს იმიტომ, რომ მისი აზრით არ იყო ფრონტზე შექმნილი ისეთი თბიექტიური პირობები, რომლებიც უკარნახებდნენ მას უკან დახევას.

ამის გასაგებათ საჭიროა გავიხსენოთ ის პოლიტიკური ვითარება, რომელიც დამყარებული იყო ახალციხის მხარეს მაშინ, როდესაც ღენ. მაზნიაშვილი ჩავიდა იქ.

ოსმალეთის ბრბოები უკუგდებულ იქმნენ ამიერკავკასიის საზღვრებიდან და მის კანონიერ თუ უკანონო მემკვიდრეთ გამოაცხადეს ყარსის მთავრობა, რომელიც შეეცადა გავერცელებინა თავის ძალა-უფლება ახალციხის და ახალქალაქის მაზრებზე.

ყარსიდან გამოგზავნილი იყვნენ პროპაგანდისტები და აგიტატორები... სამწუხაროდ, ქართველი მუსლიმანები, რომელნიც ნაკლებ არიან ეროვნულად შეგნებულნი და უფრო სხვა არიან გამსჭვალულნი რელიგიურ ფანატიზმით, ადვილად აჰყვნენ ანკესს და მათ მოიკალათეს ჩვენ მტერთა ბანაკში.

მართალია, ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ სომხები, რუსები, ოსმალები—მაგრამ ჩვენ ჯარს საქმე ჰქონდა განსაკუთრებით ამბოხებულ ხალხთან...

ასეთი იყო ვითარება ახალციხის მაზრაში, როდესაც იქ ჩავიდა ღენ. მაზნიაშვილი.

და მან მაშინვე გამოიჩინა აქტივობა მეამბოხეთა წინააღმდეგ, ვინაიდგან მას უნდოდა მოეხდინა მათზე მორალური ზეგავლენა.

აქ ღენ. გედევანიშვილმა ბრძანა: „მეც ღენ. მაზნიაშვილის ადგილას, ისევე მოვიქცეოდი, როგორც ის მოიქცა-აქტივობას გამოიჩენდით" ეს, ვგონებ, საუკეთესო ატესტატია ღენ. მაზნიაშვილისთვის!

მაგრამ გარდა ღენ. მაზნიაშვილის პირად გადაწყვეტილების, ახალციხის დატოვება-არ დატოვების საკითხში გადამწყვეტი როლი ითამაშა მთავრობის დირექტივამ.

ჩვენ წარმოვადგინეთ ორი საბუთი. პირველია—ღენ. ჯიჯიხიას ლაპარაკი სამხედრო მინისტრთან 8 თებერვალს. სამხედრო მინისტრი უბრძანებს: ,,ბატონო ღენერალო! მე კატეგორიულად გიბრძანებთ არ დაჰკარგოთ არც ერთი წუთი, რათა წინ წაიწიოთ და უახლოეს დროში მთლად ჩააქროთ ამბოხება. ამას თხოულობს ის ვითარება, რომელიც შექმნა სოჭის ფრონტზედ''-ო.

მეორე—ღენ. ჯიჯიხიას ლაპარაკი ღენ. გედევანიშვილთან 9 თებერვალს, ესე იგი მას შემდეგ, რაც ჩვენი ჯარი სასტიკად დამარცხდა ჩიხელთან. ღენ. ჯიჯიხია მოახსენებს: ,,დღეს იმდენად შეიცვალა ვითარება, რომ იძულებულნი ვართ ჯარი დავხიოთ იმ ადგილებამდის, საცა ის იდგა ღენ. მაზნიაშვილის ჩამოსვლამდე. ღენ. გედევანიშვილი უპასუხებს: ,,იდექით იმ პოზიციებზე, რომლებზედაც სდგეხართ ყოველ მიზეზ გარეშე. შევეცდები გამოგიგზავნოთ მაშველი ჯარი''-ო.

ამგვარად იყო კატეგორიული ბრძანება მთავარსარდლის ფრონტის სარდლის სახელზე—მას არ დაეხია, და უკანასკნელმაც ეს ბრძანება შეასრულა. მან არამც თუ არ გასცა ბრძანება უკან დახევის შესახებ, პირიქით! მან მიიღო ყოველი ზომა, რათა ჯარი, რომელიც პანიკამ მოიცვა და გარბოდა, შეჩერებულიყო თავის პოზიციაზე.

ჩვენ ვხედავთ ღენ. მაზნიაშვილს, რომელიც 11-ში ცხენს მიაჭენებს საბელისკენ, უკანასკნელს ამაგრებს, ბრუნდება ახალციხეში. კვლავ მიისწრაფვის ფრონტისკენ: მიდის მარჯვენა ფრთაზე, იქ ამხნევებს ჯარს, შემდეგ მიემგზავრება სხვა ჯარისკაცებთან.

მიდის კვლავ ახალციხეში.

აქ უბრძანებს ღენ. სუმბათაშვილს—მიიღოს მან ყოველი ზომა, რათა გამოქცეული ჯარისკაცები დაამშვიდოს, და უკან დააბრუნოს.

აქედან ღენ. ჯიჯიხიასთან ერთად ღენ. მაზნიაშვილი მიდის ინგლისელებთან, რომლებსაც სთხოვს, რომ მათ მიიღონ თავიანთ მფარველობის ქვეშ ჩვენი სამხედრო საავადმყოფო და საწყობები.

მოწმე მეღლაძის ჩვენებიდან სჩანს, რომ ინგლისელებს გუშაგები დაუყენებიათ აღნიშნულ ადგილებთან, და ამით გადაურჩენიათ ისინი ძარცვა გლეჯისაგან.

რაიმე ადმინისტრატიული დაწესებულებანი ახალციხეში იმ ჟამად არ არსებობდნენ, ხოლო სამხედრო ქარავანი და შტაბი უკვე გასულები იყვნენ ახალციხიდან. ამგვარად ღენ. მაზნიაშვილმა ყოველი ზომა იხმარა, რათა გადაერჩინა ის, რის გადარჩენაც შეიძლებოდა. ღენ. მაზნიაშვილს ბრალს სდებენ მაში, რომ მან იცოდა თავის ჯარის მცირე რაოდენობა, და მის წინააღმდეგ ზომები არ მიიღოო.

გასახსენებელია, რამდენი ჯარი ჰყავდა ღენ. მაზნიაშვილს.

(დასასრული ხვალ)

## ჩვენი კორესპონდენციები

### ფშაველი.

(თელავის მაზრა)

წლევანდელი წელიწადი განსაკუთრებულს ადგილს დაიჭერს ისტორიის ფურცლებზედ. სამოცი-ოთხმოცი წლის მოხუცებულების სიტყვით, ამისთანა წელიწადს არ შესწრებიან. არ ვიცი საქართველოს რომელი კუთხე არის მადლიერი ამ წლით—მაგრამ საზოგადოთ კახეთს და კერძოთ ჩვენს რაიონს საბოდიშო არაფერი აქვს ამ წყეულ წელიწადთან —ის თოვლი, რომელიც იანვრიდან მოგვივლინა და აპრილამდის გასტანა, დღესაც საშინელი ამ საგონათ. შემდეგ გორის ამები, გაზაფხულის ავდრები, წყალდიდობა, საშინელი სეტყვები (ბატის კვერცხის სიმსხო) დაჟინებული ზაფხულის წვიმები, რომაც მოსავალს ხელი და უთავა და ეხლა კიდევ წარმოუდგენელი თოვლ-ჭყაპი და წვიმები ადამიანს სასოწარკვეთილებაში აგდებს. ნეული სიმინდის ანაბარა გლეხს ჩაუცმელს, ფეხშიშველს, უშოვნია ორიოდე კოდი სათესლე და ამინდი ნებას არ აძლევს ორიოდე დღის მიწა მოიჩიჩნოს, რომ ამ დიდ ჭირიობაზე პატარა მალამო მაინც დაიდოს.

თითქოს ჯიბრზედ ბუნება რაც დრო გადის, მით უმატებს სუსხს. მთელ ალვანის თუშებს ქერნახული გასალეწები დარჩათ, ძნებიც უდგათ. ფშავლის გარშემო სოფლებს ჯერ ერთი მარცვალი არ გადაუგდიათ მინდორში, თვეზედ მეტია, მზის შუქი არ დაგვინახავს, საქონელს ეხლავე დაუწყეს ხილით კვება, ესეც ერთი უბედურებაა სოფლელისთვის. უცაბედათ მოასწრო თოვლმა ჩვენს ხალხს. ბევრს შეშა არა ჰქონდა დამზადებული, მაშა ფიცრული ფარდულები სახლებით კი გვერდების გათბობა ადვილი არ არის, ამან გამოიწვია გაციება, სურდო, ხველა და სხვა ავადმყოფობანი რამდენიმე უკვე გამოესალმა ამ ტანჯულ წუთ-სოფელს. მომავალში მეტია მოსალოდნელი, კიდევ კარგია ვლოხდილობთ ერთი ფერშლით და აფთიაქით. არ იქნება ვერ გვადირსეს ერთი ექიმი. თუ მართლა ისეთი ჯოჯოხეთია ჩვენი სოფელი ნუთუ ერთი წაწყმედილი ექიმი ღარა ჰყავს ჩვენს რესპუბლიკას, რომ ერთი ორი წელიწადი გადაუწყვიტოს ექიმს ფშავლის სამ—ში გადასახლება?? მაგრამ მგონია რომ ჩვენი ერობის გულგრილობის ბრალია, თორე არც ისე ერთი ექიმი ველარ შევინახოთ. აბა რა წარმოსადგენია თხუთმეტი სოფელი და ერთი ფერშალი, ისიც 30 ვერსის მან ძილზე გაფანტული. ეს ხომ ჰაეროპლანითაც ვერ შესძლებდა მოვლას ჩვენი ფერშალი, არამც თუ ცხენით. ან ფეხით, ამ საზარელ ლაფებში.

მაგალითათ, ალვანი დღეს მოწყვეტილია. დიდი ნიჭის სტრატეგოსი უნდა ბძანდებოდეთ რომ ალვანში გაიაროთ და არ დაიხრჩოთ ლაფში. მთელ თავის არსებობაში ალვანელებმა ერთხელ იგემეს მშვენიერი გზები ეს იყო ბოქაული მათურელის დროს, როცა დედაკაცებიც კი ამუშავა ამ საზოგადო საკეთილო საქმისათვის. თუ მაინც და მაინც კაცი ველარ გვიშოვნია რომ ალვანელები ამ გაჭირვებიდან დავიხსნათ, მოვახდინოთ მათურლის ,,რეკვიზიცია'' გვაიყვანოთ, ვაიძულოთ რომ ერთხელ კიდევ შეაკეთებინოს ეს ჯოჯოხეთი გზები, თორე განა რაკი ავტომობილები არ მოხვდება ამ გზას, იმისთვის არც ურემ-ცხენებისთვის უნდა ვიზრუნოთ?

ფშაველში როგორც იყო მოხერხდა ფოშტა ტელეგრამა. გვაქვს ტელეფონი, მაგრამ გულ ახდილათ უნდა მოგახსენოთ თუ ტელეფონის დანიშნულება ეს არის, რომ ვინც ძლიერია ის დაიმორჩილებს და აჭიკჭიკებს, თუ ამ უსულო აპარატსაც ასეთი თვისება აქვს-მიკვირს. აი თუნდა ჩვენი ტელეფონი თუ ერობიდან გვიბძანებენ, ბძანება სასწრაფოდ მოვა. თუ ჩვენ გვინდა მოვახსენოთ რამე, ეს წყეული ,,ტილიფონი'' ჯორივით ჯიუტობს. ასე ხდება სხვა ნაზზედაც, ენისელი თუ ქეიფზედ არ არის, არ გაგვცემს ხმას, (ქ. სულ ქეიფი კიდევ ეხლა შეუძლებელია) ერთად ერთი ნაფარეული გვყავს თანამგრძნობი, იქ შეიძლება მკაფიოდ დალაპარაკება და ეს სოფელი კი იხე ახლოა რომ უტელეფონოდაც რომ ვაჭკივლოთ, გავაგონებ.

გთხოვთ, ვისი საქმეც არის, მოგვიგვარონ ეს საქმე. მინდოდა ცოტარამ ჩვენ ბატონ პატრონ თემზედაც დამეწერა, მაგრამ წერილი გრძელდება. სხოვა ბს შემდეგისთვის. გაჩუმება ამ მხრივ კი შეუძლებელია, რათა თემის პატრონებს არ ეგონოთ რომ სიჩუმე თანხმობის ნიშანია.

წყაროს თაველი.

სარედაქციო კოლეგია.

მთავარი რედაქტორი სპ. კედია.


თვალების ავადმყოფობის ექიმი
მ. გოლდშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფთა მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; ღამის 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. №

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კანის, ცვირის და ყურის ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.
ტელეფ. 16—65. 1. 7—49

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფთა მიღება,
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ.
ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტასიის ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207

ექიმი
ე. ი. კალანდაძე,
ღებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დღის 8—12 ს. ვენერიული სიფილისი (შეზხაპუნება 606 და 914) და საშარდე ორგანოთა საღ. 5—7 გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ. თხე ზემმელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის საავადმყოფოს დრო ბეითალი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) მყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ნველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) კვლევ მალეინის შეზხაპუნებით. ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფთ ვექიმობ ,,ნეიმანის და ვეხსელის'' თოდებით. ვიძლევი დარიგებას ოტებნიაზე'' (საქონლის მოვლა-მოვლება). დილის 9—10 საათ. და 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39,

ქუთაისი
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფს.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღ. 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მეზაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჰოლოშე
№ 3200

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი მლობა ახალი და ძველი სუსუნებ სიფილისი (636—914 შეზხაპუნება) ადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საათ. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—1 ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ლის აფთიაქის პირდაპირ.


## მატარებელთა მიმოსვლა

ფოსტის მატარებელი № 3.
თბილისიდან ბათომში—დილის 10 ს. 3.

მატარებ. № 3, № 7.
თბილისიდან ფოთში საღამ. 7. 14

მატარებ. № 21.
თბილისიდან ბათომში, საღ. 10 ს. 37

მატარებ. № 19.
თბილისიდან ხაშურში დილ 3 ს. 20

მატარებ. № 140.
თბილისიდან სალოღში ლის 9

მატარებ. № 390.
თბილისიდან სანაინში დილის 7 ს. 45

მატარ. № 4.
თბილისიდან კახეთში დილის 8 ს. 30

### თბილისში მოდის.

მატარებ. № 4.
ბათომიდან თბილისკენ გამოდის 10 ს. 27
თბილისში მოდის სა 6 ს. 46

მატარებელი №
ფოთიდან თბილისკენ გამოდის 12 ს. 2
თბილისში მოდის 2 ს. 18

მატარებელი №2.
ბათომიდან თბილისკენ გადის მის 12 ს. 58

მატარებელი 19.
ხაშურიდან თბილისკენ მოდის მის 2 ს. 16
თბილისში მოდის დილის 8 ს.

მატარებ. №1.
სალოღლიდან თბილისკენ გადის დილის 9 ს 10
თბილისში მოდის საღამ. 5 ს. 36

მატარებ. 116.
სანაინიდან თბილისკენ გადის დილის 8
თბილისში მოდის დღის 4 ს. 53

მატარებ. 3.
კახეთიდან თბილისში გადის დილ